ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 8 მარტი, 2021 №36 (8565) ფასი: 60 თეთრი

თელავში 27 წლის მამაკაცმა მშობლები და ბებია მოკლა

გვ.5

„ღარიბაშვილის გადადგომა სრულად ჩამოშლის „ოცნებას“



გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „ოცნება“ კრიზისის პერიოდშია“

„ღარიბაშვილს ლაწირაკი ბავშვი კარნახობს, რა უნდა გააკეთოს“

„გახარია თანამდებობიდან გაიქცა. კობახიძემ აჯობა“

გვ.3

კახა კოჟორიძე: „სანამ გამოძიება დასრულდება, მაღალი თანამდებობის პირები, პირველ რიგში, ღარიბაშვილი უნდა გადადგეს“

ნინო ბურჯანაძე:

„ეს არის გაყოყოჩებული მთავრობა, რომელსაც ჰგონია, რომ ბიძინა ივანიშვილის ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება“



გვ.2

„თაკო ჩარკვიანს ვურჩევ შეწყვიტოს ისტერიები, თორემ თუ მოთმინების ფიალა ამომეწურა, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება ისიც და მისი ოჯახიც“

გვ.4

შოთა მალაშხია: „ქართულ ოცნებაში“ ბევრია გასვრილი და ფარულ ჩანაწერებს ამზეურებს“

„რატომ იცავს თეა წულუკიანს 12 კაცი?!“

ვახტანგ გომელაურმა პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში სამინისტროს ანგარიში წარადგინა

გვ.5

ISSN 1987-9385

2 გიორგი ფხაკაძე: „თამარ გაბუნია შეიძლება დაიჭირონ და ყველაფერი მას შეაწმინდონ“

5 „14 წლის გოგონას უხამს მესიჯებს წერდა“ დააკავეს პატრიოტთა ალიანსის წევრი

3 ლევან სილაგავა: „ფქვილის სუბსიდირება გაგრძელდება“

6 ტრამპის ადმინისტრაციის წევრი კაპიტოლიუმზე თავდასხმისთვის დააკავეს

„ღარიბაშვილს ლაწირაკი ბავშვი კარნახობს, რა უნდა გააკეთოს“

ნინო ბურჯანაძე: „ეს არის გაყოყოჩებული მთავრობა, რომელსაც ჰგონია, რომ ბიძინა ივანიშვილის ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება“

იაგო ნაცვლიშვილი

რა კომენტარს გააკეთებს ჩანაწერებზე, რომელშიც ბიძინა ივანიშვილის ვაჟი ბერა ივანიშვილი, პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი ანზორ ჩუბინიძე ფიგურირებენ, რომელშიც იმ ახალგაზრდების დატერორებაზეა საუბარი, რომლის კომენტარებიც ბერას არ მოეწონა? რა ხდება ოპოზიციაში და იზიარებს თუ არა პლებისციტის იდეას? რა პასუხები აქვს თაკო ჩარკვიანის მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკაზე? მიიღეს თუ არა რაიმე გზავნილები საჯარო ან პრივატულ სივრცეში და რას ელოდება 16 მარტის შეხვედრისგან? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ერთიანი საქართველო — დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე საუბრობს.

— გამოქვეყნდა სკანდალური ჩანაწერები ბერას, ღარიბაშვილისა და ჩუბინიძის მონაწილეობით, როგორია თქვენი შეფასება?

— ყველაზე დიდი კატასტროფა არის ის, რომ დღეს ქვეყანას ჰყავს პრემიერ-მინისტრი, რომელსაც პატარა ლაწირაკი ბავშვი კარნახობს, რა უნდა გააკეთოს. და რაც მთავარია, „ქართული ოცნება“ იმას კი არ ამბობს, რომ არ არსებობს ასეთი რამ, ან გამორიცხულია და ასეთი რამ შეუძლებელია... ამბობს, რომ 10 წლის წინანდელიაო, რასაც არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

10 წლის წინაც ბერა ივანიშვილი ბერა ივანიშვილი იყო.

— რაც შეეხება მოლაპარაკებებს, უნდა დარჩეს პრემიერი სპიკერად?

— საქმე საპარლამენტო არჩევნებს ეხება. ბევრად ლოგიკური და ადეკვატურია ამ ტიპის შეხვედრას ესწრებოდეს პარლამენტის თავმჯდომარე და არა პრემიერ-მინისტრი. მოლაპარაკება და ბრიუსელი კი არა, არა მგონია ღარიბაშვილი საერთოდაც გამოჩნდეს, რადგან 24 საათზე მეტი გავიდა, რაც ამ ჩანაწერების შესახებ პირველი ინფორმაცია გავრცელდა და ღარიბაშვილს განცხადება ჯერ არ გაუკეთებია. ამიტომაც, წესით, ღარიბაშვილი ბრიუსელში ვეღარ უნდა წავიდეს.

ახლა ერთი რამ არის ძალიან მნიშვნელოვანი. სასწრაფოდ უნდა დატოვოს თანამდებობა პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა და დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები, წინააღმდეგ შემთხვევაში, არავინ იცის, ამ ჩანაწერების შემდეგ ხალხი ქუჩაში გამოვა თუ გამოვარდება. ერთ-ერთი აუცილებლად იქნება და სიტუაცია იქნება უმართავი, რაც არც ერთი მხარისთვის არ იქნება მომგებიანი, იზარალებს ხალხი და სახელმწიფო. ამიტომ აუცილებელია მოლაპარაკების გაგრძელება და ვადამდელი არჩევნების სასწრაფოდ დანიშვნა

— ოპოზიციაში არის ერთგვარი აზრთა სხვადასხვაობა ვადამდელი არჩევნების თაობაზე პლებისციტის ჩატარებასთან დაკავშირებით. როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხზე, თქვენ არ ემხრობოდით ამ იდეას და შეიცვალა თუ არა თქვენი დამოკიდებულება?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ბერას და ღარიბაშვილის საუბარი 2010 წელს კუდმა ჩაწერა“

„ოცნების“ განცხადება

ჩანაწერთა ფაბრიკაცია, როგორც ჩანს, დიდი ხნის ნამუშევარი, საგულდაგულოდ დამონტაჟებული და „საჭირო მომენტისთვის“ იყო გადანახული.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ განცხადებაშია ნათქვამი, რომლითაც პარტია „ტვ პირველის“ ეთერში გავრცელებულ ჩანაწერებს ეხმაურება.

„გუშინ, ერთ-ერთი პარტიული ტელევიზიის ეთერში საზოგადოებამ იხილა და მოისმინა 2010-2011 წლების უკანონო ჩანაწერების უხეში ფაბრიკაცია. გამოქვეყნებული გაყალბებული საუბარი შედგება, როგორც მინიმუმ, რამდენიმე თვის განმავლობაში, ათეულობით ჩანაწერიდან ამოღებული სიტყვებისა და ფრაზებისაგან. ეს არის ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს (ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლამდე) „კუდის“ მიერ, ორ კერძო პირს შორის უკანონო ჩანაწერების უხეში ფაბრიკაცია, სადაც ერთ მხარეს არის საქველმოქმედო ფონდი „ქართუს“ პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი, მეორე მხარეს კი არასრულწლოვანი ბერა ივანიშვილი, თუმცა არც ასეთი ჩანაწერის გამოქვეყნებას მოერიდნენ.

ისინი, სასოწარკვეთილების ამგვარი გამოხატვით, კიდევ უფრო ინადგურებენ საკუთარ თავს, რადგან ცივილიზებულ სამყაროში ასეთი, საბჭოთა, „კაგებეს“ მეთოდების გამოყენება აბსოლუტურად ამორალური და მიუღებელია. უკანონო მოსმენა, მოსმენილის შენახვა, დამონტაჟება-ფაბრიკაცია, მისი გამოყენება, ძალადობა, მკვლელობა და ა.შ. ნაციონალური მოძრაობის ხელწერაა. რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“ და მათ ლიდერებს, ისინი მსგავს მეთოდებს არ იყენებდნენ არც პოლიტიკაში მოსვლამდე და არც პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ.

ცნობისთვის, „ტვ პირველის“ ინფორმაციით, მათ მოიპოვეს ფარული აუდიო ჩანაწერი, რომლითაც, მათივე მტკიცებით, ბერა ივანიშვილი ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად არასასურველი კომენტარების გამო, რამდენიმე პირის, მათ შორის ბავშვის დასჯას უკვეთავს.

„ღარიბაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას“

არასამთავრობოები განცხადებას ავრცელებენ

არასამთავრობო ორგანიზაციები „ტვ პირველის“ ეთერით გავრცელებულ აუდიო ჩანაწერთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ.

„ვეხმაურებით ტვ პირველის ეთერში გადაცემულ აუდიო ჩანაწერს, რომლის სავარაუდო მონაწილეები სახელმწიფოს მოქმედი პრემიერ-მინისტრი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი და ბერა ივანიშვილი არიან.

ჩანაწერი მიუთითებს, რომ განხორციელდა ახალგაზრდების, მათ შორის, არასრულწლოვანი პირების დევნა და მუქარა, მათ მიერ სოციალურ ქსელში სხვადასხვა ფორმით გამოხატული მოსაზრებების გამო.

ჩვენთვის უცნობია, რამდენად ავთენტურია გავრცელებული ჩანაწერი, თუმცა მისი შინაარსი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რამდენიმე დანაშაულის ნიშანს შეიცავს, რომელშიც, სავარაუდოდ, ყველა დასახელებული პირი მონაწილეობს.

გავრცელებული ჩანაწერის ერთ-ერთი სავარაუდო თანამონაწილეა მოქმედი პრემიერ-მინისტრი, რომელიც არის არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური პასუხისმგებლობის სუბიექტი. ჩანაწერის ნამდვილობის შემთხვევაში აუცილებლად უნდა დაისვას მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი.

ამავე დროს, რთული წარმოსადგენია სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებულმა ქმედებებმა დაიმსახუროს საზოგადოებრივი ნდობა, სანამ პირები, რომლებიც ჩანაწერში ფიგურირებენ და რომელთაც საგამოძიებო პროცესზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ, თანამდებობებზე დარჩებიან.

ამ ეტაპზე კრიტიკულად აუცილებელია, გავრცელებული ჩანაწერის ნამდვილობასთან დაკავშირებულ კითხვებს მყისიერად გაეცეს პასუხი.

მოვუწოდებთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, დაუყოვნებლივ გააკეთოს განმარტება გავრცელებულ ჩანაწერთან დაკავშირებით და ცხადი პასუხი გასცეს მის ნამდვილობასთან დაკავშირებულ კითხვებს.

მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, გამოიყენოს საქართველოს კონსტიტუციითა და პარლამენტის რეგლამენტით მისთვის მინიჭებული ინსტრუმენტები და პრემიერ-მინისტრს მოსთხოვოს განმარტებები. გავრცელებული ჩანაწერი და მასში პრემიერ-მინისტრის სავარაუდო მონაწილეობა უნდა გახდეს საპარლამენტო განხილვის საგანი.

მოვუწოდებთ სამართალდამცავ ორგანოებს, განახორციელონ შესაბამისი საექსპერტო ან/და სხვა საგამოძიებო ღონისძიებები გავრცელებული ჩანაწერის ავთენტურობის შესასწავლად. საზოგადოებრივი ნდობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ეს პროცესი წარიმართოს დროულად, ეფექტურად და გამჭვირვალედ. აგრეთვე, უზრუნველყოფილ იქნეს პროცესში დამოუკიდებელ დამკვირვებელთა/ექსპერტთა ჩართულობა და გადაიდგას ყველა სხვა ნაბიჯი, რაც აუცილებელია გამოძიების სანდოობის გასაზრდელად“ — ნათქვამია განცხადებაში.

ზურაბ ჯაფარიძე: „ღარიბაშვილთან არ დავჯდები მოსალაპარაკებლად“-ს შინაარსი არ აქვს“

— „ღარიბაშვილთან არ დავჯდები მოსალაპარაკებლად“-ს შინაარსი არ აქვს.

ამის შესახებ „გირჩი-მეტი თავისუფლებას“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე სოციალურ ქსელში წერს.

როგორც ის აღნიშნავს, „ქართულ ოცნებაში“ ყველა ბერას მორჩილი და ღარიბაშვილია.

„ყველამ ყველაფერი იცის უკვე ოცნებაში. ყველამ იცის, რომ ის ჩანაწერები რეალურია და ოცნების ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში გაკეთებული. ყველამ იცის და ხმას არ იღებენ. ხმას არ იღებენ იმიტომ, რომ ეშინიათ და/ან კომფორტის დაკარგვა არ უნდათ და/ან იმედს/პოსტვ-ს უყურებენ და „ისევ მიშა მოვა“-სი სჯერათ და ამის უფრო ეშინიათ. ვისაც სინდისის ნატამალი ჰქონდა დარჩენილი, ყველა გაქცეულია უკვე, როგორც ჩანს. ვინც დარჩა, ყველა ისეთია უკვე, ვინც არაფერზე ხმას არ ამოიღებს. ძალიან წვრილი ფილტრი აქვთ გავლილი. ყველა ბერას მორჩილია. ყველა ღარიბაშვილია. ამიტომ „ღარიბაშვილთან არ დავჯდები მოსალაპარაკებლად“-ს შინაარსი არ აქვს“ — წერს ზურაბ ჯაფარიძე.

საქართველოს ქალაქებში 8 მარტს „1000 მშობლის მარში“ გაიმართება

8 მარტს, „მომისმინე — პროტესტის 100 დღე“ კამპანიის ფარგლებში, ქალთა მოძრაობის ორგანიზებით, მთელი საქართველოს მასშტაბით აქცია — „ათასი მშობლის მარში“ გაიმართება.

აქციის ორგანიზატორთა ინფორმაციით, კამპანია აერთიანებს ყველა მშობელს, ახალგაზრდას, სამოქალაქო აქტივისტს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, კერძო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ეხმიანებიან ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს, გოგოებისა და ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტებს, რაზეც სახელმწიფო ინსტიტუციების არასათანადო რეაგირების შედეგად საქართველოში გოგოებსა და ქალებს აუპატიურებენ და ზოგის სიცოცხლე თვითმკვლელობით სრულდება.

ქალაქებში — თბილისი, გორი, ზუგდიდი, ბათუმი, ქობულეთი, ქუთაისი, ხარაგაული, ახალციხე, რუსთავი, მარნეული და თელავი, აქციის მონაწილეები მოუწოდებენ ხელისუფლებას, გადადგას ქმედითი ნაბიჯები და გაატაროს შესაბამისი რეფორმები არსებული პრობლემის გადაჭრის მიზნით. თბილისში მსვლელობა ვარდების მოედნიდან დაიწყება.

აქციის მონაწილეები მოთხოვნებს კანცელარიის წინ საჯაროდ გააჟღერებენ. მოთხოვნები შემდეგია:

— შეიცვალოს „სისხლის სამართლის კოდექსში“ გაუპატიურების მუხლი, რითიც თანხმობის არარსებობა გახდება ცენტრალური ამოსავალი;

— შეიქმნას პროკურატურაში სპეციალიზირებული დეპარტამენტი, რომელიც სექსუალური ძალადობის საქმეებს ეფექტიანად გამოიძიებს;

— გახდეს სქესობრივი განათლება ფორმალური განათლების ნაწილი, რითიც ბავშვები შეძლებენ სქესობრივი ძალადობის ამოცნობასა და მისგან თავის დაცვას;

— გაიზარდოს ფსიქოლოგების და სოცმუშაკების რაოდენობა;

— დადგეს 14 წლის გოგოს, ნინის საქმის პროკურორის პასუხისმგებლობის საკითხი სამსახურებრივი გულგრილობის გამო.

ქალთა მოძრაობა მოუწოდებს ყველას, შემოუერთდეს „ათასი მშობლის მარშს“, რათა სახელმწიფომ ნათლად დაინახოს, რომ ცვლილებების დროა.

გიორგი ფხაკაძე: „თამარ გაბუნია შეიძლება დაიჭირონ და ყველაფერი მას შეაწმინდონ“



— არ გამიკვირდება, ციხეში რომ ამოყოს თავი.

ამის შესახებ გაეროს გენერალური მდივნის მრჩეველმა, დამოუკიდებელმა ექსპერტმა გიორგი ფხაკაძემ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის, თამარ გაბუნიას შესახებ განაცხადა.

— ქალბატონი გაბუნია, მინისტრის მოადგილე, კარგი გოგოა. წინა ცხოვრებაში, როცა კარგ ორგანიზაციაში ვმუშაობდი, ვიცოდი, რომ განათლებული იყო. მაგრამ, ხომ ვიცი, რომ შეთითხნიან მაგას და არ გამიკვირდება, ციხეში რომ ამოყოს თავი.

რას უზამენ იცით? ყველაფერს მაგას დააბრალებენ. თითქოს მაგისი ბრალი იყო, რომ „იმეილი“ დროზე არ გააგზავნა, — ამბობს გიორგი ფხაკაძე.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარია თანამდებობიდან გაიქცა. კობახიძემ აჯობა“

კახა კოჟორიძე: „სანამ გამოძიება დასრულდება, მაღალი თანამდებობის პირები, პირველ რიგში, ღარიბაშვილი უნდა გადადგეს“

ნათია ხურცილავა

„ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი კახა კოჟორიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დღეებში განვითარებულ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო კახა, „ლელოს“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე ირაკლი ღარიბაშვილისა და ანზორ ჩუბინიძის გადადგომას ითხოვს გავრცელებულ ფარულ ჩანაწერთან დაკავშირებით. ფიქრობთ გამოძიება დაიწყება?

– გამოძიება დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. ეს კანონმდებლობის მოთხოვნაა და არ მხოლოდ ჩვენი. როდესაც ხელისუფლება გვეუბნება, ავთენტურობა ხომ არ არის დადგენილი, სწორედ გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ჩანაწერი ავთენტურია თუ არა. სხვა პროცედურა არ არსებობს გარდა გამოძიებისა, რომელიც ავთენტურობას დაადგენს.

– გამოძიების პროცესში მაღალი თანამდებობის პირები უნდა გადადგნენ?

– დიახ, სწორედ ეს არის მოთხოვნა. მანამ, სანამ გამოძიება დასრულდება, მაღალი თანამდებობის პირები, პირველ რიგში, ღარიბაშვილი უნდა გადადგეს. საკუთარი საქმის გამომძიებელი რომ არ უნდა იყო, ეს ჯერ კიდეც ჩვენს წელთაღრიცხვამდე დადგინდა. ხომ გასაგებია, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს პრემიერს გამოძიების მიმდინარეობაზე?! ამიტომ უნდა გადადგეს, საუბარია სახელმწიფოს ინტერესებზე. თუ დადგინდება, რომ ჩანაწერი ფაბრიკაციაა, მაშინვე დაუბრუნდეს თანამდებობას. ეს იქნება სახელმწიფოებრივად სწორი და გამართული ნაბიჯი.

– როგორ ფიქრობთ, ეს ფაქტი პოლიტიკურ პროცესში რა კორექტივებს შეიტანს? შეიძლება მოლაპარაკების პროცესი დააზიანოს?

– ჩვენი პოზიციაა, თუ მოლაპარაკების პროცესში კვლავ ბატონი ღარიბაშვილი იქნება ჩართული, მაშინ ჩვენ ამ პროცესში მონაწილეობას არ მივიღებთ.

– რატომ?

– პირველი, გამოძიება უნდა დაიწყოს და თანამდებობიდან გადადგეს გამოძიების მიმდინარეობის პროცესში ღარიბაშვილი. მეორე, დიალოგში არ შეიძლება ჩართული იყოს ის პირი, რომელის მიმართაც კითხვები არსებობს, ჩაიდინა თუ არა დანაშაული. პროცესის დისკრედიტაცია რომ არ მოხდეს, რასაკვირველია, მან არ უნდა მიიღოს მონაწილეობა. „ქართული ოცნება“ თუ იტყვის, ღარიბაშვილის დიალოგში ჩართვა არ სურს ოპოზიციას და ამიტომ აქვთ ეს მოთხოვნა და ჩვენც არ მივიღებთ მონაწილეობას დიალოგში, მაშინ ეს იქნება მოლაპარაკების მაგიდის აყირავება. რაც, არ არის გამორიცხული, ხელისუფლების მიზანიც იყოს.

მოლაპარაკებების რაუნდებში, როგორც წესი, პრემიერები არ მონაწილეობენ. 8 მარტის შეთანხმებაში პრემიერი გახარია არ მონაწილეობდა. არც შემდეგ გამართულ არც ერთ შეხვედრაში. მაინცდამაინც ღარიბაშვილმა ამ ყველაფრის შემდეგ რატომ უნდა მიიღოს მონაწილეობა, აუხსნელია. მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ღარიბაშვილის გარეშე. სხვა პოლიტიკოსებმა ჩაანაცვლონ ის.

– ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ არავითარი პლებისციტი, პირდაპირ ვადამდელი არჩევნები. ხომ არ ფიქრობთ, რომ უკვე არათუ პოლიტიკური ჩიხი, ამ ყველაფერს შეიძლება პროცესების ესკალაცია მოჰყვეს? ვინ იქნება ამაზე პასუხისმგებელი?

– უნდა გაიაზროს ხელისუფლებამ შექმნილი რეალობა. სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ობიექტური გამოძიება, რომლის მიმართ საზოგადოებას ნდობა ექნება. როგორც ჩანს, ღარიბაშვილი არც კი თვლის თავს ვალდებულად, რომ გამოვიდეს და საზოგადოებას უთხრას, მართალია, ტყუილია თუ ფაბრიკაციაა ეს ჩანაწერები. ძალიან სერიოზულ, მძიმე დანაშაულზეა საუბარი თუ, რასაკვირველია, ეს დამტკიცდება.

– „ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს ძველი ჩანაწერია.

– აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა.

– თუ მაშინ თანამდებობაზე არ იყო? ის გარკვეული პერიოდი სახელმწიფო თანამდებობის გარეშე იყო.

– პოლიტიკურად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. დღეს მაინც არ უნდა ეკავოს ასეთი მაღალი თანამდებობა, თუ მას ეს დანაშაული ჩადენილი აქვს. ბატონი ფარცხალაძე როდესაც გასამართლდა გერმანიაში ჩადენილი დანაშაულისთვის (საზოგადოებამ კარგად იცის, რა დანაშაულზეა საუბარი), ის, მაშინ არანაირ თანამდებობაზე არ იყო. ხანდაზმულობის ვადაც კი იყო გასული, როდესაც ის გენერალურ პროკურორად დაინიშნა, მაგრამ სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი დანაშაული შეუთავსებელია ასეთ თანამდებობასთან, ამიტომ მოითხოვა საზოგადოებამ მისი თანამდებობიდან გადადგომა და გამოძიების დაწყება. ამიტომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, როდის არის დანაშაული ჩადენილი, პირი თანამდებობიდან უნდა გადადგეს.

რაც შეეხება პროცესების ესკალაციას, ეს არავის არ სურს და ეს პასუხისმგებლობა კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული ხელისუფლებას. ცხადია, ოპოზიციასაც, მაგრამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი რიგგარეშე არჩევნებია და ეს უნდა გააცნობიერონ მათ. ეს სახელმწიფოს საჭიროებიდან გამომდინარე პოზიციაა და არა რომელიმე პარტიის დღის წესრიგიდან გამომდინარე.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ გიორგი გახარიასთან კონსულტაციებზე იყო რამდენიმე პოლიტიკოსი, რომ ის პარტიას ქმნის. რას იტყვით თუ გახარია პოლიტიკაში დაბრუნდა?

– დაველოდოთ. თუმცა, არა მგონია, წარმატება ჰქონდეს. თანამდებობიდან კი არ უნდა გაქცეულიყო, ბოლომდე უნდა დაეცვა და გაეტანა ის პოზიცია, რომელიც ჰქონდა ნიკა მელიას დაკავებასთან დაკავშირებით. ეს უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ვიდრე გადადგომა. რა, კობახიძემ აჯობა?!

„ღარიბაშვილის გადადგომა სრულად ჩამოშლის „ოცნებას“

თორნიკე შარაშენიძე: „ოცნება“ კრიზისის პერიოდშია

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, ფარული ჩანაწერების საკითხს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. საზოგადოებისთვის ეს საკმაოდ მტკივნეული თემაა და ისმის კითხვა, როდის უნდა დასრულდეს ფარული ჩანაწერებით ომი ჩვენს ქვეყანაში?

– ოდესღაც ნამდვილად უნდა დასრულდეს ფარული ჩანაწერებით ბრძოლა, მაგრამ მოდი ასე ვთქვათ, „ოცნებამაც“ დიდი წვლილი შეიტანა თავის დროზე ფარული ჩანაწერების კულტივირებაში, დამკვიდრებაში. შესაბამისად, მათი მხრიდან გაპროტესტება ამისი, ერთის მხრივ შეიძლება სამართლიანია, მაგრამ მეორე მხრივ, აბსურდულია. ოდესღაც ვიღაცამ უნდა დაასრულოს ეს მანკიერი წრე. არც „ოცნება“ და არც ნაციონალური მოძრაობა ამ მანკიერების დამსრულებლები არ არიან, ეს ფაქტია ნამდვილად. ვიღაცამ უნდა დაასრულოს ოდესღაც! უნდა შეთანხმდეს სრულიად საზოგადოება, რომ ეს არის ამორალური. ახლა ამ ამორალურობაზე აპელირება ყოფილი ხელისუფლების მხრიდან, რომელიც თავის დროზე ამას უწყობდა ხელს, რბილად რომ ვთქვათ, არაა სწორი. მათ არა აქვთ ამის უფლება. გამოდიან და აცხადებენ, როგორ შეიძლება ამის გამოქვეყნება, როცა თავადვე მშვენივრად სარგებლობდნენ ამ ყველაფრით თავის დროზე.

– მიხეილ სააკაშვილმა, ჩემი პრეზიდენტობის დროს ერთი ფარული ჩანაწერიც არ გამოქვეყნებულაო.

– მის დროს უფრო იწერდნენ და შემდეგ ამით აშანტაჟებდნენ. ასე რომ, ამ შემთხვევაში არც ერთი მხარე არ არის უცოდველი და აპელირება სხვაზე, კომიკურია და ამორალური.

– თავად ამ ჩანაწერის შინაარსზე რას იტყვით? რომ არ უნდა ქვეყნდებოდეს, ეს ცალკე პრობლემაა.

– შინაარსი ნამდვილად გამოსაკვლევია. პირველ რიგში, როდინდელია ეს ამბავი, ჩემი აზრით, ეს არის ძალიან საინტერესო.

– „ოცნება“ ამტკიცებს, რომ 2011 წლის ჩანაწერია.

– თუ მართლა 2011 წლისაა, მაშინ ნაკლებად პრობლემურია „ქართული ოცნებისთვის“. თუ ღარიბაშვილი მართლა არ არის ამ პერიოდში თანამდებობის პირი, მისთვის ნაკლებად პრობლემურია. თუმცა ფაქტია, რომ ზოგადად „ოცნებისთვის“ მაინც პრობლემურია. მით უმეტეს ახლა, როცა „ოცნებას“ უამრავი პრობლემა აქვს. ასე მარტივად ამ ლაქის ჩამორეცხვა არ მოხდება. მართლა მოყვა თუ არა ამას რამე, მართლა მივიდნენ და ვინმეს საქმეები ურჩიეს თუ არ ურჩიეს, ეს სხვა პრობლემაა. ის კი, რაც ზედაპირზე დევს, „ქართული ოცნებისთვის“ მძიმე ლაქა იქნება. მით უმეტეს, ამ სიტუაციაში. უნდა გამოიძიონ და ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ფარული კადრების ისტერია ამ ქვეყანაში. თუმცა ამ ეტაპზე ობიექტური გამოძიების იმედი არ მაქვს. ნეიტრალურმა მხარემ უნდა გამოიძიოს და დაასრულოს.

– 16 მარტამდე ხელისუფლება და ოპოზიცია უნდა შეთანხმებულიყო. ახლა რამდენად გამოვა ეს? გავრცელდა ხმები, რომ კადრების გავრცელებამდე აქტუალური იყო პლებისციტის საკითხი და „ლელო“ და გიორგი ვაშაძე მზად იყვნენ პარლამენტშიც შესულიყვნენ ამის სანაცვლოდ.

– ამ გუშინდელი სკანდალის შემდეგ, უკვე აღარ ვიცით, როგორ წავა მოლაპარაკების პროცესი.

– ამ პროცესის ჩასაშლელად ამოაგდეს ჩანაწერი და ამაზე რას ფიქრობთ?

– ნამდვილად არაა გამორიცხული, თავისთავად ცხადია. პოლიტიკაში, სამწუხაროდ, ყველა ხერხი მოსულა. საქართველოში, მით უმეტეს. საქმე ისაა, ამ სიტუაციაში, მთავარი არის ორი რაღაც. თუ სიტყვაზე, ახლა ჩაიშლება ეს მოლაპარაკებები, ეს მოხდება უფრო ოპოზიციის გამო, იმიტომ, რომ ოპოზიცია აპროტესტებს ღარიბაშვილის თანამდებობაზე ყოფნას და ასე შემდეგ. ვნახოთ, როგორ შეხედავას ამას დასავლეთი, აი ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემი აზრით. დღეს მთავარი კოზირი როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციისთვის, არის დასავლეთის მხარდაჭერა. შეიძლება ითქვას, რომ უფრო მეტად ოპოზიციისთვის არის მნიშვნელოვანი. დღეს ოპოზიციას იმდენი ხალხი ვერ გამოჰყავს, რომ გადატრიალება მოახდინოს და შეარყიოს მთავრობა...

– და ამიტომ ასეთი თემებით უნდა დაიწყოს აპელირება?

– კი, ასეა. ეს ხელისუფლება დასავლეთზე ძალიან არის დამოკიდებული. თუნდაც ფინანსური დახმარების გამო, მათ შორის ვაქცინის შემოტანის გამო და ასე შემდეგ. შესაბამისად, ახლა მნიშვნელოვანია, ვინ უფრო მართალი გამოჩნდება დასავლეთთან. თუ მოლაპარაკებები ჩაიშლება ამ ჩანაწერების გამო, მერე მნიშვნელოვანია, რამდენად ჩათვლის ამას დასავლეთი სწორ და ადეკვატურ რეაგირებად ოპოზიციის მხრიდან.

– აქეთ მივდივართ? შესაძლოა, ამ მიზეზით ჩაიშალოს ჯერ არ დაწყებული მოლაპარაკება?

– არის ამის დიდი შანსი. ჩვენ ვხედავთ, რომ პატარა პარტიები ძალიან ხშირად იქცეოდნენ ისე, როგორც ეს სურდა ნაცმოძრაობას. დღეს ნაცმოძრაობის ლიდერშიპს უნდა, რომ სიტუაცია წავიდეს გამწვავებისკენ და არის იმის ნიშნები, რომ ახლაც აიყოლიონ პატარა პარტიები.

– ღარიბაშვილი გადადგესო და ღარიბაშვილის გადადგომა ასე მარტივად უცებ არ მოხდება ალბათ.

– რა თქმა უნდა, არ მოხდება ასე მარტივად ღარიბაშვილის გადადგომა. ღარიბაშვილის გადადგომა ალბათ საერთოდ ჩამოშლის „ოცნებას“. გახარიას გადადგომამ, ვნახეთ, როგორ შეარყია და ახლა ღარიბაშვილი რომ გადადგეს, ხომ საერთოდ რას უზამს. ამიტომ ეს არ მოხდება. ოპოზიციაში ხვდებიან, რომ დღეს „ოცნების“ სუსტი წერტილი არის ღარიბაშვილი და მასზე დარტყმები არის მომგებიანი. თავის დროზე ოპოზიციისთვის გახარიაზე დარტყმები იყო მომგებიანი, 20 ივნისის შემდეგ, მაგრამ გახარიამ ეს მშვენივრად გადაიტანა და საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ გახარია ყველაზე ძლიერი იყო „ოცნებაში“. ღარიბაშვილი ასეთ დარტყმებს ნაკლებად გაუძლებს. გახარია დამოუკიდებელი ფიგურა იყო, ღარიბაშვილი სხვაზე დამოკიდებულია, უფრო ახალგაზრდაა, უფრო ხისტი და ემოციურია. პოლიტიკაში კი სიხისტე და ემოციურობა მაინცდამაინც კარგი არ არის.

– რა მოლოდინი გაქვთ, შესაძლოა აღარ შედგეს ეს მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის?

– ამ პერიოდში დაკვირვების შედეგად აღმოვაჩინე ერთი მარტივი რამ, ქართულ პოლიტიკაში იგებს ის, ვინც ნაკლებ სისულელეს ჩაიდენს. ორივე მხარემ საკმარისზე მეტი სისულელე ჩაიდინა. დაველოდოთ, შევხედოთ, ვინ რას იზამს.

– საინტერესოა, ამ ჩანაწერებს ვინ, ვის საწინააღმდეგოდ შემოაბრუნებს?

– აი ეს უნდა ვნახოთ. ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია. ახლა იწყება „ოცნების“ სიმტკიცის გამოცდის მომენტი. შესაძლოა ახლა „ოცნებაში“ დაპანიკდნენ ვიღაცები და „ოცნებამ“ შიგნიდან რყევა დაიწყოს. თუ გაუძლეს, მაშინ გადაგორებენ ამ კრიზისს, ხოლო თუ რყევები დაიწყო და ვიღაც-ვიღაცებმა დაიწყეს გაქცევა, მაშინ დიდი შანსია, რომ მართლა ჩამოიშალოს. ამიტომ ახლა არის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი „ქართული ოცნებისთვის“. ზოგადად, „ოცნების“ კრიზისის პერიოდში, ჩანს, რომ ნაცმოძრაობა ძლიერდება და ამ კრიზისს კარგად იყენებს სათავისოდ. ახალი კვირიდან იყო მოლაპარაკებების დაწყება დაანონსებული, ვნახოთ, რა გამოვა. ხვალიდან შევხედოთ სიტუაციას, რა და როგორ.

ლევან სილაგავა: „ფქვილის სუბსიდირება გაგრძელდება“

– სუბსიდირების პროგრამა, სავარაუდოდ, გაგრძელდება. მინიმუმ ერთი თვე და შეიძლება, რომ მაისშიც მოხდეს ფქვილის სუბსიდირება.

ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსთან“ „ხორბლის მწარმოებელთა ასოციაციის“ ხელმძღვანელმა განაცხადა.

„მუდმივი კომუნიკაცია გვაქვს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. მე ვიცი, განწყობა როგორია ხელისუფლების მხრიდან და, სავარაუდოდ, სუბსიდირების პროგრამა გაგრძელდება. მინიმუმ ერთი თვე და შეიძლება, რომ მაისშიც კი გაგრძელდეს. რატომ ეს ორი თვე? ვიცით, რომ ახლა ფასები ხორბალზე ისევ მაღალია. შესაბამისად, სამიზნე ფასი მეპურეებისთვის არის 53 ლარი 1 ტომარა ფქვილზე. ისინი ამბობენ, რომ თუ ეს ფასი არ იქნება, პური გაძვირდება. დღეს კი თავისუფალ ბაზარზე 1 ტომარა ფქვილის ფასი 67-68 ლარია. ამიტომ, ხორციელდება 15-ლარიანი სუბსიდირება.

20 მარტისთვის მთავრობას მეპურეებთან და ჩვენთან ერთად ექნება შემაჯამებელი ანალიტიკური შეხვედრა, სადაც განისაზღვრება, თავისუფალ ბაზარზე რამდენია ფქვილის ფასი, რომ გამოიკვეთოს, რამდენი დასჭირდება შემდეგ სუბსიდირებას. შემდგომ თვეებში, ალბათ, საჭიროებაც აღარ იქნება, რადგან მოუსწრებს ახალი მოსავალი პირველი ივლისიდან. ამ პერიოდში ტრადიციულად მუდმივად აღება მეტია ახალი ხორბლის, ვიდრე შესანახი მეურნეობების. მოსავალი ამ დროს აწვება ფასს და ფასი ამ დროისათვის დაკორექტირდება. შეიძლება, ეს არ იყოს ისეთი კლება, რომ 53 ლარზე ჩამოვიდეს ისევ ფასი, მაგრამ სავარაუდოდ, მინიმუმ 5-6 ლარით კლება მოხდება. დადასტურებით ვერ ვიტყვი ამას, მაგრამ გამოცდილება და პრაქტიკა ასეთია.

სხვა თემაა, სხვა კომპონენტები, რომლებიც მოქმედებს პურის ფასზე. ამის შემდეგ შევხედავთ, რა ღონისძიებების გატარება დასჭირდება ან არ დასჭირდება სახელმწიფოს. აპრილი და მაისი კი დიდი ალბათობით, დასუბსიდირდება, რათა პურის ფასი შენარჩუნდეს. რომ არა ეს მექანიზმი, დღეს პური 15-20 თეთრით მეტი ეღირებოდა. ასე ამბობენ მეპურეები, – ამბობს ლევან სილაგავა.

ცნობისთვის, ქვეყანაში პურის ფასის შესანარჩუნებლად მთავრობა ფქვილის სუბსიდირებას ახორციელებს, რომლის ვადაც 1 აპრილს იწურება.

„რატომ იცავს თეა წულუკიანს 12 კაცი?!“

შოთა მალაშხია: „ქართულ ოცნებაში“ ბევრია გასვრილი და ფარულ ჩანაწერებს ამზეურებს“

მარიამ მჭედლიშვილი

ჩანაწერებმა ირაკლი ღარიბაშვილის, ბერა ივანიშვილისა და ანზორ ჩუბინიძის მონაწილეობით უბრალო მოქალაქეებს მრავალრიცხოვანი პრობლემები დაავიწყა, პოლიტიკოსებს კი — კრიზისის დაძლევის მიზნით დაგეგმილი მოლაპარაკება. შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, შოთა მალაშხიას.

„რომელი ბავშვების უფლებების დაცვაზეა ლაპარაკი, როცა ხელისუფლების წევრები გეგმავენ ანგარიშსწორებას სკოლის მოსწავლეებზე“

— „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და მომხრეები ამბობენ, რომ ოპოზიციას ამ ფარულ ჩანაწერებზე ხმაურიანი რეაგირებით უნდა გადაფაროს ეუთო/ოდირის ობიექტური საბოლოო დასკვნა 2020 წლის არჩევნებზე. ამ დასკვნით, არჩევნები თავისუფალი იყო.

— რას არ მოიგონებენ „ქართული ოცნების“ ტვინგადაბრუნებული დამცველები. რა შუაშია ეუთო/ოდირის დასკვნა!

— მმართველ პარტიაში იმასაც ამბობენ, რომ ეს ჩანაწერები (ზოგი ამ მასალას მონტაჟსაც უწოდებს) გაკეთებულია 2010 ან 2011 წელს და არა 2016-ში.

— რა მნიშვნელობა აქვს, 2010 წელს დაიდო ეს ჩანაწერები, 2011 წელს თუ 2016-ში — ეს დანაშაულია ნებისმიერ შემთხვევაში. დავუშვათ, ეს ყველაფერი 2012 წლამდე ხდებოდა. ეს იმის ნიშანია, რომ ღარიბაშვილი მაშინაც ასრულებდა ბერა ივანიშვილის ახირებებს და შემდეგაც შეასრულებდა. იგივე ითქმის ანზორ ჩუბინიძეზე. მათი ფსიქიკა ხომ არ შეიცვლებოდა! იმ წლებში ბერა ივანიშვილი სრულწლოვანიც არ იქნებოდა და თუ რამე და ვინმე არ მოეწონებოდა, ამ ხალხის დახმარებით სასტიკად უსწორდებოდა.

— „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ უკანონო ჩანაწერები არ განადგურებულა, ისინი სააკაშვილს აქვს და როცა სჭირდება, ავრცელებს.

— თუ სააკაშვილს აქვს, რატომ არ გამოაქვეყნა წინა წლებში?! ეს ყველაფერი უკავშირდება ხელისუფლების შიგნით ატეხილ ამბებს.

— რომელ ამბებს?

— ხომ ნახეთ, გადადგა გახარია. უფრო ზუსტად, გემიდან ვირთხასავით გადახტა. მან აირიდა ახალი დანაშაული, მაგრამ ვერ აირიდებს 2019 წლის 20 ივნისის მოვლენებს და ია კერძაიას სიკვდილამე მიყვანას. ხელისუფლებაში სერიოზული პროცესებია. „ქართულ ოცნებაში“ ბევრია გასვრილი. ზოგს თავის გადარჩენა უნდა და ფარულ ჩანაწერებს ამზეურებს. ყოველთვის ასე იყო — რამდენიმე წლის წინ დააკავეს პროკურორი სუბელიანი და ის ალაპარაკდა, მოგვიანებით საუბრის სურვილი გაუჩნდა უშიშროების ყოფილ მაღალჩინოსან გოგაშვილს. სხვებიც ჰყავთ — ბოტასების ქურდი ფარცხალაძე და ა. შ.

— ეს ყველაფერი მოხდა იმ დროს, როცა ხელისუფლებას და ოპოზიციას უნდა დაეცხრო ვნებები და მომზადებულიყო შეთანხმებისთვის, რომელიც მოამზადა თბილისში ჩამოსულმა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა.

— დიახ. დაითქვა ორკვირიანი ვადა, რომ მხარეებმა მოამზადონ გადაწყვეტილებები. დაიდო ექვსპუნქტიანი გეგმა. მასში საუბარია პოლიტპატიმრებზე, სასამართლოზე, ასევე ნახსენებია ვადამდელი არჩევნები. მიშელის ვიზიტის დროს ყველაფერი წყნარად იყო, მაგრამ წასვლიდან მეორე დღესვე ღარიბაშვილი ისევ სხვა შეურიგებელ რიტორიკაზე გადავიდა. ვერ ხედავენ, რა დამოკიდებულება აქვს აშშ-ის ადმინისტრაციას იმ ოლიგარქების მიმართ, რომლებიც ხელს უშლიან დემოკრატიას. უკრაინელ ოლიგარქ კოლომოისკის ახლა დაუწესეს სანქციები. ვინ უფრო აფერხებს დემოკრატიას — კოლომოისკი თუ ივანიშვილი?! რასაკვირველია, ივანიშვილი, რომელიც ყველაფერში ერევა. ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციებზეც არის ლაპარაკი. თუ ეს გადაწყდა, სანქციებს მარტო ერთ კაცს არ დაუწესებენ. ეს შეეხება ოჯახს და გარემოცვას.

— ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის მონაწილეობით მოლაპარაკებების მაგიდას არ მიუჯდება.

— უბედურებაა, რომ ღარიბაშვილი წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო დონეზე. „ქოცების“ თვალშიც კი ის არის ოლიგარქის ხელის ბიჭი. თუ იმაზეა წამსვლელი, რაც ჩანაწერებში ისმის, წარმოიდგინეთ, კიდევ რას იზამს?! ესენი არიან სამართლიანი არჩევნების ჩამტარებლები? ამ ხელისუფლებაში არის უკანონოდ გამდიდრებული ჯგუფი, რომელმაც გაყვლიფა საკუთარი მოსახლეობა. ამ ადამიანებმა, რომლებმაც დააგროვეს ქონება, წამოჭიმეს სასახლეები, დაწვრილებით უნდა დაასაბუთონ შემოსავლები. თუ ვერ დაასაბუთებენ, მათი ქონება სახელმწიფოს უნდა გადაეცეს.

— კორუფციული სქემები გაიშიფრება?

— ამ ხელისუფლებამ უამრავი კორუფციული სქემა აამოქმედა. ამისი ბუდე იყო იუსტიციის სამინისტრო. წულუკიანმა, რომელიც იუსტიციის მინისტრი იყო, მშვენივრად იცის, საჯარო რეესტრში ვის რა და როგორ აქვს გაფორმებული. მანვე უწყის, როგორ მომზადდა გაყალბებული პირადობის მოწმობები არჩევნებისთვის. იმდენი იცის, რომ დაცვით დადის.

— თეა წულუკიანს დაცვაზე ჟურნალისტებმაც დაუსვეს შეკითხვა.

— დეპუტატი თუ კერძოდ აიყვანს დაცვას, ეს მისი ნებაა. არ გამიგია, დეპუტატი დადიოდეს 12-კაციანი დაცვის თანხლებით, როგორც ამას წულუკიანი აკეთებს სახელმწიფოს ხარჯზე. მოკლედ, კადიროვის მმართველობა გვაქვს. კადიროვი არჩეული მაინცაა, ჩვენ კი არაფორმალური მმართველობა გვაქვს, სადაც მმართველის შვილიც იძლევა ბრძანებებს. ოფიციალური სტრუქტურები და პირები მის ხუშტურებზე დადიან.

— ბოლო დღეებში საკამათო საკითხი გახდა პლებისციტი. ხელისუფლება მას არ თანხმდება, ოპოზიცია თანახმაა, სააკაშვილი კი — წინააღმდეგი.

— „ქართული ოცნება“ ნებისმიერ შემთხვევაში განწირულია. ეს ხელისუფლება ძალიან სწრაფად უნდა წავიდეს. ისეთი ფორსირებულია მოვლენები, ლამის რიგგარეშე არჩევნები გახდეს სათუო. ამ ჩანაწერებით ხალხი გააგიჟეს. დამცველი აღარ დარჩათ. ფსკერზე უნდა იყო, რომ ესენი დაიცვა. ყველას ჰყავს ახლობლები, შვილები. ეს უზნეობა რომ დაიცვა, იმათ როგორღა უნდა შეხედო?! რომელი ბავშვების უფლებების დაცვაზეა ლაპარაკი, როცა ეს პირები გეგმავენ ანგარიშსწორებას სკოლის მოსწავლეზე ფეისბუქში დაწერილის გამო. ღარიბაშვილი ამაზე ხითხითებს და ამბობს, ეს ბავშვი სკოლაში ვერ წავაო. პროკურატურა ვალდებულია, დაიწყოს ამ ძალადობის გამოძიება. თორემ, პროკურატურა ხშირად ისეთ რამეზე ცდება, გამაოგნებელია. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ერთმა პარტიამ მოაგროვა მოქალაქეების ხელმოწერები. 33 000-დან ერთი აღმოჩნდა გაყალბებული. ამის გამო პარტიის წევრებს იბარებდნენ. შეეძლოთ, ეს ხელმოწერა უბრალოდ გაებათილებინათ. „ოცნების“ ლოგიკით და ტრადიციებით, ღარიბაშვილი ახლა „ქართული ოცნების“ ოფისიდან უნდა აიყვანონ და შტურმი მოუწყონ, როგორც ეს ნიკა მელიას გაუკეთეს.

„ღარიბაშვილს ლაწირაკი ბავშვი კარნახობს, რა უნდა გააკეთოს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

— გეთანხმებით. პლებისციტი ჩვენი მხრიდან არის ძალიან სერიოზული დათმობა და ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ვადამდელი არჩევნების საკითხზე ბრძოლა, მაგრამ არ ვიტყოდი ასე, რომ ამ საკითხმა განსაკუთრებული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. იმიტომ, რომ არიან ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეს დათმობაა და მართლა არის დათმობა, მაგრამ მეორე მხრივ, ოპოზიციაში ერთიანობაა იმ ნაწილში, რომ მთავარი არის ვადამდელი არჩევნებისთვის ბრძოლა. ასე რომ, საბოლოოდ ჩამოყალიბებული პოზიცია ამასთან დაკავშირებით არ არის.

ოპოზიციაში შევთანხმდით იმაზე, რომ ამ საკითხზე კონსულტაციებს კიდევ გავაგრძელებთ. თუმცა, რა თქმა უნდა, მთავარი მიზანი არის, რომ პლებისციტით თუ მის გარეშე ვადამდელი არჩევნებისთვის ვიბრძოლოთ.

— ახსენეთ დათმობა და, ბუნებრივია, გარკვეული დათმობა მოლაპარაკებების დროს ოპოზიციასაც მოუწევს. ეს არის ის დათმობა, რისთვისაც ოპოზიციაა მზად?

— არა. ჯერჯერობით ასეთი მზაობა არ არის, მაგრამ ერთ-ერთ ვარიანტად ეს არის შეთავაზებული მთავრობისთვის. ამიტომ, ვნახოთ, მთავრობა რას იტყვის და რისთვის არის მთავრობა მზად და ჩვენ, ბუნებრივია, გვექნება ჩვენი წინადადება. ჯერჯერობით მთავარი, რა თქმა უნდა, მუშაობაა საჭირო პირდაპირ რიგგარეშე არჩევნებზე.

— გარკვეული ბზარები ხომ არ შემოაქვს ოპოზიციაში მიხეილ სააკაშვილს, გამომდინარე იქიდან, რომ მან პლებისციტის საკითხი პირდაპირ ივანიშვილის თამაშს დაუკავშირა. რამდენად სწორად მიგაჩნიათ ეს თქვენ?

— არა, ეს არა მგონია, ასე იყოს. არ ვიცი ივანიშვილის თამაში და არ ვიცი, რა უნდა რეალურად ივანიშვილს, მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც პლებისციტზე საუბრობენ, ივანიშვილის თამაშს ნამდვილად არ თამაშობენ. შემიძლია გითხრათ ცალსახად. უბრალოდ, ეს არის მათი ხედვა, რათა უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ ვადამდელი არჩევნების მიღწევის გზაზე, ამ შემთხვევაში პლებისციტის მეშვეობით.

— იმ ცნობილი შეხვედრის შემდეგ „ოცნებისგან“ თუ მოისმინეთ რაიმე კონკრეტული, რას გთავაზობენ? ან ოპოზიციის წარმომადგენლებს პირად საუბრებში თუ მოგაწოდეს რაიმე აზრი ხელისუფლებიდან?

— არა. ჯერჯერობით. ხელისუფლების მხრიდან არ არის გახმოვანებული. ხელისუფლება აბსოლუტურად მიუღებელ პოზიციაზეა. ვნახოთ და, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვეცდებით, რომ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხელისუფლება იძულებული გახდეს, დათმოს.

— დრო გადის და რჩება, რომ 16 მარტამდე კონკრეტული შედეგი დაიდოს და კონკრეტული შედეგით ჩავიდეს ღარიბაშვილი ბრიუსელში, თუ ისევ ღარიბაშვილი წავა?

— იცით რაშია საქმე? ეს გაცილებით უფრო სერიოზული პრობლემაა ღარიბაშვილისთვის ან მისთვის, ვინც წავა ბრიუსელში, ვიდრე ოპოზიციისთვის. იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მისგან ელოდებიან დათმობას ან მისგან ელოდებიან იმას, რომ ოპოზიციას დაელაპარაკება და მე ვთვლი, რომ ღარიბაშვილს მძიმე პერიოდი ელოდება.

— თქვენ ხართ გამოცდილი პოლიტიკოსი, მათ შორის, იცით საერთაშორისო ფორუმებსა და ინსტიტუციებთან მუშაობა და რას გამოიწვევს ეს თუ ღარიბაშვილი ვერ ჩავა კონკრეტული წინადადებით?

— ეს იქნება ძალიან ძვირი „ოცნებისთვის“. იმიტომ, როდესაც ევროკავშირის წარმომადგენელია ჩართული ამ პროცესში, შეუძლებელია ამის იგნორირება და რამდენიმე დღეა უკვე გასული ბატონი მიშელის წასვლისდან და პრაქტიკულად 1 კვირა გახდა. არავითარი ხმა არ ისმის ხელისუფლებისგან, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ უგულებელყოფენ ასეთი მაღალი რანგის დიპლომატის ძალისხმევას, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან რთულად იქნება აღქმული საერთაშორისო თანამეგობრობისგან. ასე რომ, „ოცნებას“ ბევრი დრო არ აქვს და რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოამზადოს შეხვედრა ოპოზიციასთან, მაგრამ ეს შეხვედრა უნდა იყოს საქმიანი და შინაარსიანი და არა შეხვედრა შეხვედრისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლების მიმართ ძალიან მძიმე შეფასებები იქნება გახმოვანებული საერთაშორისო თანამეგობრობის და კონკრეტულად ევროკავშირის მხრიდან. შემდეგი ნაბიჯი კი უფრო მძიმე იქნება ევროკავშირის მხრიდან.

— შემდეგ ნაბიჯში რა იგულისხმება? ეს მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლება თუ კონკრეტულს უნდა ველოდოთ რამეს?

— არა, მე ვფიქრობ, რომ ეს არ იქნება მხოლოდ განცხადებები და არ გამოვრიცხავ, რომ ევროკავშირში ძალიან მეთოდურად ალაპარაკდნენ სანქციების დაწესებაზე.

— მათ შორის პიროვნულ სანქციებსაც გულისხმობთ?

— დიახ, მათ შორის პიროვნულ სანქციებსაც. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სანქციები იყოს პიროვნული და არა ქვეყნისათვის დაწესებული. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ სანქციები არ დაწესდეს სახელმწიფოს მიმართ, რათა ხალხი არ დაზარალდეს, მაგრამ გაკეთდეს იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც არ იქცევიან ისე, როგორც ეს დემოკრატიულ სახელმწიფოს შეეფერება.

— ბიძინა ივანიშვილის მიმართაც?

— პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილის მიმართ.

— რა მოლოდინები გაქვთ 16 მარტთან დაკავშირებით?

— იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება გადმოდგამს ნაბიჯებს მისივე ინტერესებიდან გამომდინარე. შეიძლია გითხრათ, რომ დიდი იმედი არ მაქვს. ეს არის გაყოყოჩებული მთავრობა, რომელსაც ჰგონია, რომ ბიძინა ივანიშვილის ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება და ივანიშვილის ფულებით გადააგორებს კრიზისს. მაგრამ ხელისუფლება, რომელიც ვერც პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს აგვარებს, ვერც ადამიანების ყოფით პრობლემებს აუმჯობესებს, ეს ხელისუფლება ვერ მართავს ქვეყანას. აქედან გამომდინარე ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ქვეყანამ დრო არ დაკარგოს უფრო მეტად და რაც შეიძლება სწრაფად მოვიპოვოთ ვადამდელი არჩევნები და კოალიციური მთავრობა. გვყავდეს მრავალპარტიული პარლამენტი, რაც იქნება ქვეყნის განვითარებისთვის მთავარი.

— ოპოზიციაში რა ხდება? იყო გარკვეული დაპირისპირება თუ რა ვუწოდო არ ვიცი, მაგრამ ვნახეთ თაკო ჩარკვიანის განცხადებები თქვენი და გიგა ბოკერიას მისამართით? თუ გაქვთ მის გამონათქვამებზე პასუხი?

— სიმართლე გითხრათ, არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ თაკო ჩარკვიანის განცხადებებზე კომენტარები ვაკეთო. ძალიან სწორად თქვა გიგა ბოკერიამ, რომ საერთოდ არ მიაჩნია სწორად თაკო ჩარკვიანის გამონათქვამებზე კომენტარების კეთება.

მე არაერთხელ მითქვამს, რომ თაკო ჩარკვიანი უკვე ყველანაირ ზღვარს გადადის. მის პოზიციაში არაფერ შუაში არ არის არც რუსეთი, არც პუტინი და არც საქართველოს ინტერესები. ეს არის მისი პირადი ისტერიული დამოკიდებულება ჩემ მიმართ. ეს გამოჩნდა კიდეც მის განცხადებებში, როდესაც მისი მთავარი წუხილი იყო, რომ ვიღაცა უფრო ხშირად ჩანს ტელევიზორში, ვიდრე, მისი აზრით, უნდა ჩანდეს. ვიღაცა მიტინგზე დიდი დოზით ჩანს და ა.შ. ანუ მე მგულისხმობდა, როდესაც აქტიურად ვარ ბრძოლის წინა ხაზზე. თავისთავად ის, რომ ასეთ ბრძოლაში ვინ დაწინაურდება და ვინ არა, ამაზე კეთდება აქცენტი, ეს თავისთავად მეტყველებს იმაზე, რამდენად გულწრფელია. ძალიან სამწუხაროა ეს. მე ყველანაირად თავს ვიკავებ თაკო ჩარკვიანზე კომენტარების კეთებისგან.

— ასეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ ბიძინას თამაშს თამაშობს და ამაზე მიანიშნებთ?

— არა. ასე ნამდვილად არ ვიტყოდი ამას, თუმცა უნებურად ასე გამოდის, მაგრამ შეგნებულად ნამდვილად არ თამაშობს ბიძინა ივანიშვილის თამაშს და არც პარლამენტში არ შევა. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, მაგრამ მისი პიროვნული ისტერია და ბოღმა ჩემ მიმართ უკვე არ ექვემდებარება არანაირ წესებს.

— ჩვენთანაც ყველა ინტერვიუში მუდმივად თქვენს სახელს ახსენებს.

— ადამიანმა პოლიტიკური კარიერა გაიკეთა ბურჯანაძის ლანძღვით. ეს რომ პოლიტიკური კრიტიკა იყოს, ასატანი იქნებოდა, მაგრამ როდესაც ეს არის პიროვნული შურისძიება თუ ბოღმა, ეს უკვე ყველა ზღვარს ცდება.

— პიროვნულს რატომ უწოდებთ, როდესაც ის რუსეთთან მიმართებაში საუბრობს და ამბობს, რომ ეს მისი წითელი ხაზია?

— აბა იმას ხომ არ იტყვის, რომ არ მიყვარს ბურჯანაძე და იმიტომ ვლაპარაკობ მასზეო? რა თქმა უნდა, ცდილობს ლამაზად შეფუთოს. მე ჯერ კიდევ თავს ვიკავებ. გამომდინარე იქიდან, რომ თაკოს მამა, ჯანსუღ ჩარკვიანი იყო ჩემი ნათლია და არ მინდა, რომ ნათელმირონობას გადავაბიჯო, თუმცა თაკო ჩარკვიანმა ეს გააკეთა. ყველანაირ ადამიანურ ზღვარს გასცდა. მე ჯერ კიდევ პატივს ვცემ მამამისის ხსოვნას და ანგარიშს ვუწევ ამას, მაგრამ თუ ასე გააგრძელებს, მერე, ერთ მშვენიერ დღეს, ჩემმა მოთმინებამაც ამოწუროს საზღვრები და გარწმუნებთ, რომ თაკო ჩარკვიანი ჩემზე ვერაფერს ვერ იტყვის, მაგრამ მე თუ მოთმინება ამომეწურა, ძალიან მძიმე და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება ქალბატონი თაკოც და მისი ოჯახიც. ამიტომ, მას ვურჩევ, რომ შეწყვიტოს ეს ისტერიები, რომელიც შიზოფრენიული რგოლებივით სეზონურად უმწვავდება ხოლმე.

„თაკო ჩარკვიანს ვურჩევ შეწყვიტოს ისტერიები, თორემ თუ მოთმინების ფიალა ამომეწურა, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება ისიც და მისი ოჯახიც“

რასაც თაკო ჩარკვიანზე ვლაპარაკობთ, ამაში არაფერ შუაში არ არის არც პოლიტიკა, არც რუსეთი. ოპოზიციაში ყველაზე მეტად თავმოყვარე და პატრიოტი თაკო ჩარკვიანია?! ვერც ხვდება იმას, რომ ამ თავისი ისტერიკით მე კი არ მაყენებს შეურაცხყოფას, არამედ მის კოლეგებს და მის გვერდით მყოფ ადამიანებს, რომელთაგან მის ისტერიკას არც ერთი არ აჰყვა. გამოდის, რომ ის ერთადერთია საქართველოს გულშემატკივარი, პატრიოტი და რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი და სხვა ყველა ამაზე გაჩუმებულია. ასე რომ, კარგი იქნება თუ დაუფიქრდება. მით უმეტეს, რომ პოლიტიკოსობის პრეტენზია აქვს და თუ არ დაუფიქრდება, მაშინ ალბათ ერთ დღესაც მე მომიწევს მისთვის პასუხების გაცემა. დავასრულოთ თაკო ჩარკვიანზე ლაპარაკი. ისტერიკულ და გაბრაზებულ ქალზე ლაპარაკი არ ღირს.

ვახტანგ გომელაურმა პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში სამინისტროს ანგარიში წარადგინა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა პარლამენტში, პლენარულ სხდომაზე, „მინისტრის საათის“ ფორმატში, სამინისტროს მიერ გაწეული და სამომავლოდ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ისაუბრა.

სიტყვით გამოსვლისას მინისტრმა ვრცლად მიმოიხილა მიმდინარე საკითხები, შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები და პროექტები.

ვახტანგ გომელაური:

– მაქსიმალურად ყველაფერს ვაკეთებთ მოქალაქეების, ჩვენი ქვეყნის დასაცავად – დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მაღალი ტრიბუნიდან თანამშრომლებს, დაწყებული რიგითიდან, დამთავრებული ჩემს მოადგილეებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამინისტროა, 43 ათას ადამიანზე მეტი თანამშრომელი გვყავს უწყებაში, ახლა მაქსიმალურად ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენი მოქალაქეების, ჩვენი ქვეყნის დასაცავად – დაწყებული საზღვრიდან, ჩვენი ქვეყანა საიდანაც იწყება და მთავრდება და, რა თქმა უნდა, შუაგულში, დედაქალაქში.

როგორც კრიმინალური პოლიცია, საპატრულო პოლიცია, ისე სამაშველო სამსახურები, სახანძრო სამსახურები ძალიან ბევრს აკეთებენ და ძალიან ბევრს შრომობენ.

ვახტანგ გომელაურმა პოლიციის თანამშრომლებს მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა.

– დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ ნამდვილად მაღალი ტრიბუნიდან ჩვენს თანამშრომლებს, დაწყებული რიგითიდან, დამთავრებული ჩემს მოადგილეებს, ყველას, – განაცხადა მან.

გომელაურის თქმით, კეთდება ყველაფერი, რომ უწყება გამართულად მუშაობდეს.

– რა თქმა უნდა, თქვენ ყველას დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის. არის კითხვები, ხანდახან კრიტიკული, არის პასუხები. შევეცადე გულწრფელად მეპასუხა. ყველაფერი გამართული არ არის, არის პატარა პრობლემები, რომლებზეც ვმუშაობთ და თითქმის ყოველთვის იქნება ამის გამოსწორება.

100%-ით რომ იყოს გამართული შსს, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ვერასოდეს, თუმცა ვაკეთებთ ყველაფერს, რომ მინიმალური ჩავარდნები იყოს მუშაობაში. ჩვენ ვისაუბრეთ მძიმე თემებზე, თუნდაც ამ ბავშვების თემაზე, მოზარდების თემაზე, არასრულწლოვნებზე, ოჯახში ძალადობაზე – რაც უმძიმესი თემაა ნამდვილად, რომ არ ჩავთვალოთ უკვე სხვა კრიმინალური დანაშაულები. ამ მხრივ ვიმუშავებთ კიდევ მაქსიმალურად ჩვენს კოლეგა სამინისტროებთან ერთად, თქვენთან ერთად, საზოგადოებასთან ერთად, რომ ასეთი მძიმე შემთხვევები უფრო ნაკლები მოხდეს და მაქსიმალურად დროულად დავიცვათ ჩვენი ბავშვებიც, ჩვენი დედებიც, ჩვენი მეგობრებიც და ყველა, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

ვახტანგ გომელაურმა კრიმინალური პოლიციის რეფორმებსა და უკვე განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა.

– გრძელდება კრიმინალური პოლიციის რეფორმა, რომლის მთავარი მიზანი გამოძიების ხარისხის გაზრდაა. რეფორმის შედეგად მივიღებთ გამომძიებელთა ახალ, მაღალი კვალიფიკაციის მქონე შემადგენლობას, ხოლო ოპერატიული კომპონენტი საქმიანობის ცალკე მიმართულებად განისაზღვრება. ამჟამად მიმდინარეობს ოპერატიული, საგამოძიებო და საუბნო მიმართულებების გამიჯვნის პროცესი, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

მან არასრულწლოვნის ინტერესებზე მორგებული გარემოს შექმნაზე ისაუბრა.

– კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, თბილისის პოლიციის დეპარტამენტში შეიქმნა არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველო, რომელიც დედაქალაქის მასშტაბით არასრულწლოვნების მიერ და მიმართ ჩადენილ დანაშაულებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ახდენს რეაგირებას.

სამინისტრო აგრძელებს არასრულწლოვნის ინტერესებზე მორგებული გარემოს შექმნაზე მუშაობას. სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობებში, უნირეტის კონცეფციის შესაბამისად, ბავშვზე მორგებული გარემო შექმნილია თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში. 2021 წელს გაგრძელდება მსგავსი სივრცეების მოწყობა პოლიციის დანაყოფებში, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მინისტრმა რეფორმების ფარგლებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა და ყურადღება პოლიციელთა შეიარაღების განახლებაზე გაამახვილა.

– 2020 წელს პოლიციის ახალი შენობები აშენდა წალენჯიხაში, ბაკურიანში, რუსთავსა და პანკისში. ამჟამად მიმდინარეობს გურჯაანის, ომალოს, აბასთუმნის, მესტიის პოლიციის შენობების მშენებლობა.

2021 წლის დასაწყისში მნიშვნელოვნად განახლდა სამინისტროს ავტოპარკი. ასევე, მნიშვნელოვნად განახლდება პოლიციელების შეიარაღება, რაც წლების განმავლობაში მასშტაბურად არ განხორციელებულა. გაუმჯობესდება და განახლდება დანაყოფების რადიოკავშირის საშუალებები, ასევე, გაგრძელდება პოლიციელების მაღალი ხარისხის ფორმის ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით უზრუნველყოფა, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მისი თქმით, 2020 წელი რთული წელი იყო.

– ქვეყანა დღემდე ებრძვის პანდემიას და ამ პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტრო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. პარალელურად, სამინისტროს თანამშრომლები კრიმინალთან ბრძოლას, ისევე, როგორც მოქალაქეთათვის აუცილებელი სერვისების მიწოდებას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ. პანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, სამინისტრო აგრძელებს ეფექტიან მუშაობას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, – განაცხადა გომელაურმა.

საკანონმდებლო ორგანოში შინაგან საქმეთა მინისტრმა ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენულ მდგომარეობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამართალდამცველთა ძალისხმევის შედეგად, 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, რეგისტრირებული დანაშაული 12%-ით შემცირდა. მისივე განცხადებით, სამინისტროს მიერ კრიმინალის წინააღმდეგ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომია და კონკრეტულ ციფრები რეგისტრირებული დანაშაულის შესახებ სამინისტროს ვებგვერდზე ყოველთვიურად ქვეყნდება.

– ქვეყანაში სამართალდამცველთა ძალისხმევის შედეგად, 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, რეგისტრირებული დანაშაული შემცირდა 12%-ით. შემცირდა ისეთი კატეგორიის დანაშაულები, როგორიც არის: მკვლელობის მცდელობა, ყაჩაღობა, ძარცვა, გამოძალვა, ქურდობა, მათ შორის, შემცირებულია ბინების გაქურდვის ფაქტებიც. გაიზარდა კიბერდანაშაული, რაც გლობალური გამოწვევაა და ინტერნეტ რესურსების გაზრდილი გამოყენებით არის განპირობებული. ასევე, მომატებულია ოჯახში ძალადობის ფაქტებზე პოლიციისადმი მიმართვიანობა. ასევე მომატებულია მკვლელობა 9 ფაქტით, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მისივე თქმით, რჩება გამოწვევებიც, რომელთა გადასაჭრელადაც სამინისტროში მიმდინარეობს და დაგეგმილია არაერთი რეფორმა.

– 2004-დან 2012 წლამდე მძიმე დანაშაულების სტატისტიკა არის საჯარო. ამოვაღებინე მე და ამაზე არაერთხელ მისაუბრია, შემიძლია მოგახსენოთ, რა თქმა უნდა. მაგალითად, განზრახ მკვლელობა 2006 წელს იყო 323 ფაქტი, 2007 წელს 330 ფაქტი, 260 ფაქტი და ა.შ. შარშან იყო 77 ფაქტი, 2020 წელს იყო 86 ფაქტი. იგივე შემიძლია მკვლელობის მცდელობაზე გითხრათ – 2006 წელს იყო 317 ფაქტი, 2007-ში 410 ფაქტი, 2008 წელს 400 ფაქტი. ყველამ რომ იცოდეს, ეს ჩვენი შევსებული არ არის, ქსელში ბატონი ვანო მერაბიშვილის დროს არის შეყვანილი. რომელსაც ვერ წაშლიან და ვერც მე წავშლი ჩემს შეყვანილ ამ რიცხვებს. დღეს არის 126 ფაქტი, როცა იყო 300 და 400 ფაქტი. 2006 წელს დაფიქსირებულია ყაჩაღობის 2160 ფაქტი, 2007 წელს უკვე 1208 და მოდის ქვევით, ნელ-ნელა.

2012 წელს არის 326. 2020 წელს გვქონდა 154 ყაჩაღობის ფაქტი. ძარცვა – 2006 წელს იყო 2751, 2007 წელს – 1615, 2008 წელს – 1165, 2012 წელს იყო 502, ყველაზე დაბალი. ახლა გვაქვს 267, 2019 წელს იყო 372. ხულიგნობის თემაც ასევე, 1200, 800, 900, აგერ, 2007, 2008, 2009 წლებში. 2012 წელს იყო 385 ფაქტი, 2019 წელს 67 ფაქტი იყო და 57 ფაქტია 2020 წელს.

ასეთი სხვაობები და ცვლილებებია და რატომღაც, სულ მაგას ამბობენ, რომ კრიმინალმა მოიმატა. 2000 ფაქტიდან 150-ზე რომ ჩამოხვალ, მოიმატა თუ დაიკლო, არ ვიცი. სულ კლებაა თან. ვერ იტყვი, რომ ერთი წლის ჩავარდნაა რომელიღაც შუა წლებში. სულ კლებაში მიდის ქვემოთ, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, 2020 წელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სასაზღვრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, სახელმწიფო საზღვრის დაკვირვების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის, ავიაციის შესაძლებლობების განვითარების, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებისა და ნატოსთან თანამშრომლობის მიმართულებით.

– ამერიკის შეერთებულ შტატების თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) მხარდაჭერით აშენდა სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 4 სასაზღვრო სექტორი: დედოფლისწყაროში – სექტორი „ლეკისყურე“, ბათუმში – სექტორი „ჩირუხი“, ხოლო ყაზბეგში – სექტორები „ჯუთა“ და „თრუსო“. განახლდა მესაზღვრის პირადი აღჭურვილობა, სასაზღვრო ინციდენტების გამოვლენისა და მათზე რეაგირების, ასევე, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებები. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის დაცვის პროგრამის (EXBS) ფინანსური დახმარებით, ამჟამად მიმდინარეობს ახალციხის სამმართველოს სასაზღვრო სექტორის მშენებლობა. უახლოეს მომავალში დასრულდება სასაზღვრო სექტორის მშენებლობა დავითგარეჯის ტერიტორიაზე. 2021 წელს დაგეგმილია საზღვრის დაცვის შესაძლებლობების გაზრდა, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მისივე თქმით, სახმელეთო საზღვრის დაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, სასაზღვრო პოლიციას 20 ერთეული ყველგანმავალი „არგო“ გადაეცა და სასაზღვრო პოლიციის ავტოპარკი მაღალი გამავლობის 90 ავტომანქანით და 6 სატვირთო ავტომანქანით გაძლიერდა.

ვახტანგ გომელაურმა პანდემიასთან ბრძოლის პროცესში სამინისტროს ჩართულობასა და ამ კუთხით განხორციელებულ სამუშაოებზე ისაუბრა. მისი თქმით, ვირუსის პირველი შემთხვევის დაფიქსირებისთანავე ყველა დანაყოფი განსაკუთრებულ სამუშაო რეჟიმზე გადავიდა.

– საკითხი, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით და აუცილებლად უნდა ვისაუბროთ, არის პანდემიასთან ბრძოლა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული საპოლიციო სერვისების ადაპტირება პანდემიასთან. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ვირუსის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა, ყველა დანაყოფი განსაკუთრებულ სამუშაო რეჟიმზე გადავიდა. ვირუსის შეკავებაში ჩართულმა დეპარტამენტებმა აჩვენეს კოორდინაციის საუკეთესო მაგალითები, ეს ეხება როგორც შიდა უწყებრივ, ისე უწყებათშორის თანამშრომლობას, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ვახტანგ გომელაურმა სისტემის რეფორმის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების გაუმჯობესების გეგმებსა და ამ მიმართულებით 2020 წელს გადადგმულ ქმედით ნაბიჯებზე ისაუბრა.

– სამინისტროს ინიციატივით მიღებულ იქნა ახალი კანონი სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით. გამკაცრდა სასჯელი და არასრულწლოვნის გაუპატიურებისათვის განისაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთაც. ასევე, აღნიშნული დანაშაულის პრევენციის მიზნით შეიქმნა მოძალადეთა მონიტორინგის მექანიზმები, – აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.

მისივე თქმით, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების დახვეწის მიზნით, დაინერგა მნიშვნელოვანი სიახლე – მოძალადის მიმართ დაწესდა ელექტრონული მონიტორინგი, რაც მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვის გარანტიების გაზრდას უზრუნველყოფს.

თელავში 27 წლის მამაკაცმა მშობლები და ბებია მოკლა

გუშინ, 7 მარტს, თელავში მკვლელობა მოხდა. 27 წლის მამაკაცმა მშობლები და ბებია მოკლა.

ადგილობრივების ინფორმაციით, ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის ხმა გაიგეს. მათი თქმით, ახალგაზრდას ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა.

პოლიციამ გუშინვე ბრალდებული დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის და თელავის პოლიციის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თელავში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნეს. ოჯახის სამი წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია 1993 წელს დაბადებული ა.ა.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თავის სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი პისტოლეტიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა 1960 წელს დაბადებულ მამას, 1963 წელს დაბადებულ დედას და 1935 წელს დაბადებულ ბებიას, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ ა.ა. მომხდარიდან რამდენიმე საათში, თელავში დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – პისტოლეტი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ოჯახის სამი წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებას გულისხმობს.

„14 წლის გოგონას უხამს მესიჯებს წერდა“

დააკავეს პატრიოტთა ალიანსის წევრი

შიდა ქართლში 14 წლის გოგოს მიმართ გარყვნილი ქმედების ბრალდებით პატრიოტთა ალიანსის ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელი დააკავეს.

არასრულწლოვანი გოგოს მშობლის ინფორმაციით, 24 წლის კაცს გოგონასთან უხამსი შინაარსის მიმოწერა ჰქონდა. მინაწერების შესახებ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს სწორედ არასრულწლოვანი გოგონას დედამ გადასცა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული უკვე დააკავეს. მისი ადვოკატის მტკიცებით, მიმოწერა, რომელიც საქმეში დევს, სასიყვარულო შინაარსისაა. მისივე ინფორმაციით, დაკავებული ბრალს არ აღიარებს.

– მიმოწერა, რომელიც საქმეშია, სუფთა სათუთი მიმოწერაა ორ ადამიანს შორის. შესაძლებელია, ადამიანი სკოლის მერხიდან გიყვარდეს, 0 კლასიდან, როცა ჯერ ბავშვები ხართ. ბრალს არ აღიარებს და იმედი მაქვს, რომ გამამართლებელი განაჩენი დადგება საქმის არსებითად განხილვის დროს, – ამბობს თამარ თედლიაშვილი.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 141-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ძალადობის გარეშე სრულწლოვანის გარყვნილ ქმედებას დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ.

დანაშაული სასჯელის ზომად, 5-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უაქციზო სიგარეტის შემოტანის ფაქტზე 3 პირი დააკავეს

ოკუპირებული ტერიტორიიდან მარკირებას დაქვემდებარებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვის ფაქტზე, 3 პირი დააკავეს, – ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, სულ ამოღებულია სხვადასხვა დასახელების 24 950 კოლოფი უაქციზო სიგარეტი.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მარკირებას დაქვემდებარებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვის ფაქტზე, 3 პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან, შემდგომი რეალიზაციის მიზნით შემოიტანეს სხვადასხვა დასახელების 24.950 კოლოფი უაქციზო სიგარეტი.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებული სიგარეტის ჯამური ღირებულება აღემატება 102.000 ლარს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით.

ტრამპის ადმინისტრაციის წევრი კაპიტოლიუმზე თავდასხმისთვის დააკავეს

ვინ არის ფედერიკო კლეინი

ტრამპის ადმინისტრაციის წევრი კაპიტოლიუმზე თავდასხმის ბრალდებით დააკავეს.

დაკავებულია პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ სახელმწიფო დეპარტამენტში დანიშნული თანამდებობის ერთ-ერთი პირი ფედერიკო კლეინი. გამოძიება 6 იანვარს კაპიტოლიუმზე თავდასხმასთან დაკავშირებულ მოვლენებში მისი როლისა და მონაწილეობის თაობაზეა აღძრული.

42 წლის კლეინი ფედერალურმა აგენტებმა ვირჯინიაში დააკავეს. გფბ მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალისა და მისი კონკრეტული მოქმედებების შესახებ დეტალებს ჯერჯერობით არ ასაჯაროებს. არც ისაა ცნობილი, უკვე იცავს თუ არა მის ინტერესებს ადვოკატი.

ფედერალურ საჯარო მოხელეთა რეესტრში კლეინი შარშანდელი მონაცემებით იძებნება, როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის დასავლეთ ნახევარსფეროს საკითხების ბიუროს სპეციალური თანაშემწე. ის ამ პოზიციაზე, რომელიც ერთ-ერთ პოლიტიკურ თანამდებობად ითვლება, 2017 წლიდან პრეზიდენტ ტრამპის წარდგენით მუშაობდა.

კლეინი 2016 წელს ტრამპის საპრეზიდენტო კამპანიისთვისაც მუშაობდა.

ფედერიკო კლეინი ტრამპის ადმინისტრაციის პირველი წევრია, რომლის წინააღმდეგაც 6 იანვრის მოვლენებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ამის შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა.

კლეინი 6 იანვარს ჯერაც სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელი იყო, როდესაც ვაშინგტონში კაპიტოლიუმზე თავდასხმაში მიიღო მონაწილეობა და დონალდ ტრამპის სხვა მხარდამჭერებთან ერთად პოლიციის კორდონის წევრებს სავარაუდოდ ფიზიკურადაც დაუპირისპირდა.

მის წინააღმდეგ აღძრული საქმის თანახმად, ის პოლიციელისგან მოპარულ ფარს იყენებდა იმისთვის, რომ სხვა ოფიცრებს დაპირისპირებოდა, შემდეგ კი კაპიტოლიუმში შეეღწია.

პაპი ფრანცისკე ერაყის ყველაზე დიდ კათოლიკურ ტაძარს ესტუმრა

რომის პაპი ფრანცისკე ერაყში 4-დღიანი ვიზიტის დროს ქალაქ მოსულის ყველაზე დიდ კათოლიკურ ტაძარს ესტუმრა.

კათოლიკური ტაძარი ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს, რომელსაც წლების განმავლობაში ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები აკონტროლებდნენ. საომარი მოქმედებების დროს ტაძარი ნაწილობრივ დაინგრა. პაპმა ომის დროს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

– რა საშინელებაა, რომ ამ ქვეყანამ, ცივილიზაციის აკვანმა, ასეთი ბარბაროსული დარტყმა გადაიტანა, გაანადგურეს უძველესი სალოცავი ადგილები და ათასობით ადამიანი – მუსლიმები, ქრისტიანები, იეზიდები და სხვები, – განაცხადა მან.

წინა დღეებში კი პაპი ბაღდადში ერაყის პრემიერ-მინისტრ მუსტაფა ალ-ქადიმსა და ერაყელი შიიტების უმაღლეს სასულიერო პირს, აიათოლა ალი ალ სისტანს შეხვდა.

პაპის დასაცავად ქვეყანაში ერაყის უსაფრთხოების ძალების 10 000 წევრია განლაგებული, ხოლო კორონავირუსის გავრცელების შეზღუდვისთვის დაწესებულია 24-საათიანი კომენდანტის საათი.

პანდემიის გამო ფინეთში თვითმმართველობის არჩევნები გადაიდო



პანდემიის გამო ფინეთში თვითმმართველობის არჩევნები გადაიდო. არჩევნები აპრილის ნაცვლად ივნისში გაიმართება.

ბოლო დღეების განმავლობაში ფინეთში ეპიდემიოლოგიური ვითარება მკვეთრად გაუარესდა, არჩევნებმა კი შესაძლოა, ვირუსის უფრო ფართოდ გავრცელება გამოიწვიოს.

ფინეთის მთავრობა ასევე მიიჩნევს, რომ მოქალაქეების ნაწილმა დაინფიცირების საფრთხის გამო შესაძლოა არჩევნებზე მისვლაზე უარი თქვას, დაბალი აქტივობა კი კენჭისყრის ლეგიტიმურობას საფრთხეს უქმნის.

ფინეთში ბოლო 24 საათში კორონავირუსით 648 ადამიანი დაინფიცირდა და მათი რიცხვი 61.552-მდე გაიზარდა. ქვეყანაში ვირუსს 767 ადამიანი ემსხვერპლა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბორჯღალოსნებმა რაგბი ევროპა ბონუს-მოგებით დაიწყეს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა 2021 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატი და 2023 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპი გამარჯვებით დაიწყო და მეტოქეზე სამით მეტი ღელოს გატანისთვის ბონუს-ქულაც ჩაიწერა.

მასპინძლებმა პირველ ნახევარში ჩვენი შეცდომებით და უდისციპლინობით ისარგებლეს და პირველი ნახევარი 3 ქულის სხვაობით მოიგეს. რადგან კარში დარტყმები არ წაგვივიდა, მეტოქე თამაშში ბოლომდე დარჩა, მაგრამ მეორე ტაიმში ლევან მაისაშვილის გუნდი სრულად აკონტროლებდა მატჩის მსვლელობას და საბოლოოდ კომფორტული სხვაობით მოიგეს.

საქართველომ მთავარი კოზირი – ძალისმიერი თამაში გამოიყენა და მოლსა თუ შერკინებაში „ლობუშს“ პრობლემები შეუქმნა, რაც საბოლოოდ შედეგზე აისახა. პირველ ტაიმში ღელოები მირიან მოდებაძემ და ჯაბა ბრეგვაძემ გაიტანეს, შესვენების შემდეგ კი თავი გიორგი მელიქიძემ, შალვა მამუკაშვილმა და თორნიკე ჯალაღონიამ გამოიჩინეს.

თამაში აგრესიულად დაიწყეს და პირველსავე წუთზე მეტოქე დაჯარიმეს, მაგრამ გელა აფრასიძეს გასატანი პოზიციიდან დარტყმა გაუცუდდა. მთლიანობაში, ამ შეხვედრაში საქართველოს ფეხით თამაში არ წაუვიდა და გასატანი პოზიციებიდან რამდენიმე დარტყმა გაგვიცუდდა, ორჯერ კი, ბურთი აუტში ვერ გადავიტანეთ.

სამაგიეროდ, ფეხით კარგად თამაშობდა პორტუგალია და ჰაერში თამაშისას პრობლემებს გვიქმნიდა, რაც შესვენების შემდეგ გამოსწორდა. პრობლემები გვქონდა დისციპლინაშიც და საწყის 12 წუთში 4-ჯერ დავჯარიმდით, მთლიანობაში კი, 2 სინბინი მივიღეთ და მოედანზე კაცნაკლულები დავრჩით.

საპირისპიროდ, ძლიერად ვიდექით შერკინებაში, კარგი იყო დერეფანი და მოლი, რამაც საბოლოოდ სასურველ შედეგამდე მიგვიყვანა. პირველ ტაიმში იყო 2 ეპიზოდი, როდესაც ჩვენს 22-ში თამამი გადაწყვეტილება მივიღეთ და ხელით ვცადეთ ბურთის წამოღება, მაგრამ მეტოქემ ორჯერვე შეძლო კონტრშეტევის შეჩერება.

ჩვენი უდისციპლინობით პორტუგალიამ კარგად ისარგებლა. 14 წუთში მათ 4-ჯერ დაარტყეს ჯარიმა კარში და 2 გაიტანეს, ერთი ძელმა აისხლიტა, ერთი კი, მიზანს აცდა. ნელ-ნელა ძალისმიერ თამაშში „ბორჯღალოსნების“ უპირატესობა გამოიკვეთა, პორტუგალია ჯერ შერკინებაში დაჯარიმდა, მერე მოლით დაახლოებით 15 მეტრი მოვიგეთ, რასაც ფორვარდების დარტყმა მოყვა, გელა აფრასიძემ ბურთი მარჯვენა ფრთაზე გაიტანა და ალამთან ღელო მირიან მოდებაძემ გაიტანა.

გაცუდებულ გარდასახვას, მეტოქის აცილებული ჯარიმა მოყვა. 27-ე წუთზე საქართველომ კიდევ ერთი მოლი ააგორა და ამჯერად ღელო ჯაბა ბრეგვაძემ გაიტანა. რადგან აფრასიძეს კარში დარტყმები არ წაუვიდა, ბედი სოსო მათიაშვილმა სცადა, თუმცა მიზანმა მასაც უმტყუნა.

32-ე წუთზე გიორგი კვესელაძემ უბურთო მეტოქე შებოჭა, სინბინით დაისაჯა და მეტოქემ რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლა. ჩვენს 22-ში ჯარიმის სწრაფად გათამაშებას დაცვა მოუმზადებელი დახვდა და როდრიგო მარტამ ღელო ალამთან გაიტანა, ხოლო სამუელ მარკესმა რთული პოზიციიდან ორივე ძელის გავლით გარდასახა და ტაიმი ლობუშმა 13:10 მოიგო.

მეორე ტაიმი 5 წუთის დაწყებული იყო, როდესაც რაქში დავჯარიმდით და მეტოქემ ჯარიმით მორიგი 3 ქულა აიღო, თუმცა ბორჯღალოსნებმა მალევე უპასუხეს. მასპინძლებმა საკუთარ 22-ში მოლის შეჩერება მოახერხეს, რაქიდან გიორგი მელიქიძემ შეუტია, რომელიც მეოთხედ იყო ძირითადში და ღელო გაიტანა. მათიაშვილის გარდასახვა ამჯერად ზუსტი იყო და საქართველო დაწინაურდა და უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია.

54-ე წუთზე მსაჯმა ყვითელი ბარათი გიორგი თხილაიშვილს აჩვენა და კვლავ კაცნაკლულები დავრჩით. პორტუგალიამ ჯარიმით სცადა უპირატესობის მოპოვება, მაგრამ დარტყმა არაზუსტი იყო და კაცნაკლულმა საქართველომ იქით შეუტია.

ამან შედეგი გამოიღო 63-ე წუთზე სინბინით უკვე მასპინძლები დაისაჯნენ. პოზიცია გასატანი იყო, მაგრამ „ბორჯღალოსნებმა“ ნაცად ხერხს მიმართეს, დერეფნიდან მოლი ააგორეს და შალვა მამუკაშვილმა ღელო გაიტანა. გარდასახვა ისევ არაზუსტი იყო და პორტუგალია თამაშში ბოლომდე დარჩა.

თუმცა, დარჩენილი დრო შეტევებში მაინც „ბორჯღალოსნებმა“ გაატარეს და ორჯერ შეეძლოთ ჯარიმით უსაფრთხო უპირატესობის მოპოვება, მაგრამ ბოლომდე ღელოზე ითამაშეს. რამაც შედეგი ბოლოსღა გამოიღო – თორნიკე ჯალაღონია მბოჭავს დაუსხლტა და ნაკრებში სადებიუტო ღელო მიითვალა, მათიაშვილმა კი გარდასახა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 29:16.

რაგბი ევროპის ჩემპიონატის კიდევ ერთი მატჩი გაიმართა, რომელშიც რუსეთმა რუმინეთი ჯარიმების წყალობით 18:13 დაამარცხა და 4 ქულა აიღო, ხოლო რუმინეთს მცირედი მარცხისთვის ბონუსი ერგო.

13 მარტს პორტუგალია რუმინეთს მასპინძლობს, ხოლო „ბორჯღალოსნები“ 14 მარტს ესპანეთში ჩავლენ და მადრიდში „ლომებს“ ერკინებიან, რომელიც პირველ ტურში ისვენებდა.

ლევან მაისაშვილი:

– პერიოდულად იყო ნერვიულობები, მაგრამ დაგეგმილი გამარჯვება მოვიპოვეთ და 5 ქულა ავიღეთ. შეცდომები გვქონდა. თამაშამდეც ვამბობდით, რომ რაგბი ევროპის ჩემპიონატზე თავს უფლებას ვაძლევთ ექსპერიმენტები ჩავატაროთ, რაც ყოველთვის ვერ ამართლებს. ორი ახალგაზრდა მორაგბის დებიუტი შედგა, გვქონდა ცვლილებები შემადგენლობაში და ამავდროულად, დაგეგმილ მიზანსაც მივაღწიეთ“. მატჩის დებიუტში შეტევის კარგი შესაძლებლობები გვქონდა და ამ დროს მოთამაშეებს არ ვზღუდავთ, თუნდაც შეტევა 22-იდან დაიწყონ. როდესაც ეს არ გამოდის, საჭიროა თამაშის გადაწყობა და მართვა. გვქონდა ემოციური პრობლემები დისციპლინაში, დავრჩით კაცნაკლულები და შევცვალეთ ტაქტიკა. გადავედით ისეთ თამაშზე, რაშიც დომინანტები ვიყავით. თავდაჯერებულობა ანგარიშიდან მოდის და გაკეთდა აქცენტი იმაზე, რაც სასურველ შედეგს მოგვიტანდა.

მერაბ შარიქაძე:

– საუკეთესო თამაში არ გვქონდა, მაგრამ საბოლოო ჯამში გამარჯვების მოპოვება შევძელით. ამ თამაშიდანაც შეიძლება პოზიტივის დანახვა. ჯარიმებზე უარი იმიტომ ვთქვით, რომ მეტოქეს ძალისმიერ თამაშში, მოლში ვჯაბნიდით, რამაც შედეგი მოიტანა. გარდა ამისა, გვსურდა რომ ტაბლოზე დამაჯერებელი ანგარიში დაგვეფიქსირებინა და ეს მოვახერხეთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სტუდენტმა ლატარიის ყველა ციფრი გამოიცნო, მაგრამ გულმავიწყობის გამო მოგების გარეშე დარჩა

ბრიტანეთის ჰარტფორდშირის საგრაფოს მკვიდრმა სტუდენტმა გოგონამ ლატარიის ევრომილიონის გათამაშების ყველა ციფრი გამოიცნო, მაგრამ ბილეთის შეძენა დაავიწყდა.

19 წლის რეიჩელ კენედი ხშირად მონაწილეობს ლატარიის გათამაშებებში და ყოველთვის ერთსა და იმავე რიცხვებს იყენებს. თებერვლის ბოლოს ევრომილიონის გათამაშების დროს ყველა შვიდი რიცხვი დაემთხვა, რომლებიც გოგონას ჰქონდა შერჩეული. მან დაურეკა გათამაშების ორგანიზატორებს, რათა საკუთარი მოგება დაედასტურებინა და მხოლოდ მაშინ აღმოაჩინა, რომ ლატარიის ბილეთი არ ჰქონდა.

კენედის თქმით, ის გათამაშების წინ უნივერსიტეტში მეტისმეტად გადატვირთული იყო და ბილეთის ყიდვა ამიტომ დაავიწყდა. რომ არა გულმავიწყობა, მისი მოგება 182 მილიონი ფუნტი სტერლინგი იქნებოდა.

ქალი მეგობარ მამაკაცს დაშორდა და საკუთარ თავზე გათხოვდა

ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ ატლანტის მკვიდრი ქალი თავის მეგობარ მამაკაცს დაშორდა და საკუთარ თავს გაჰყვა ცოლად. 35 წლის მეგ ტეილორ მორისონმა განაცხადა, რომ მისი საქციელი საკუთარი თავის უზომო სიყვარულმა განაპირობა.

აღსანიშნავია, რომ ქალი 2020 წელს ჰელოუნის დროს გათხოვებაზე ოცნებობდა, თუმცა ივნისში შეყვარებულს დაშორდა და მიხვდა, რომ მის გეგმას ასრულება არ ეწერა. მაშინ მორისონმა გადაწყვიტა, რომ მას ქორწილისთვის სულაც არ სჭირდებოდა მეორე ნახევარი. მისი თქმით, მან აჩვენა, თუ როგორ უყვარს საკუთარი თავი და ის ამას სავსებით იმსახურებდა.

საზეიმო ღონისძიებას ქალის ათი ყველაზე ახლო მეგობარი და ნათესავი ესწრებოდა. ცერემონიაზე მან მის მიერვე დაწერილი ფიცი წაიკითხა, შემდეგ კი სარკეში საკუთარ ანარეკლს აკოცა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თემურ გუგუშვილი 70 წლისაა

ოპერის მომღერალი თემურ გუგუშვილი 70 წლისაა. პანდემიის გამო, გამოჩენილი ტენორის საიუბილეო თარიღი არ აღინიშნება.

იუბილარი საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის, ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობისა და ირინა არხიპოვას სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატია.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი მომავალ თაობებს აზიარებს საოპერო ხელოვნებას.

თემურ გუგუშვილმა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური სიმღერის ფაკულტეტი 1976 წელს დაამთავრა, ორი წლის შემდეგ კი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი გახდა. იგი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტურაში სწავლის პარალელურად მილანის „ლა სკალაში“ ასპირანტურა-სტაჟირებას გადიოდა. კონსერვატორიაში მისი ხელმძღვანელი ნოდარ ანდღულაძე გახლდათ.

იუბილარი ხელოვანის ძალზე წარმატებული, 40 წელზე მეტი ხნის კარიერის განმავლობაში მან მრავალი წამყვანი პარტია შეასრულა როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ოპერებში. მის რეპერტუარშია: ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავრა“; ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“; ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“, „მთვარის მოტაცება“, „პირველი სიყვარული“, „მუსუსი“; მერი დავითაშვილის „ნაცარქექია“; გია ყანჩელის „და არს მუსიკა“. უცხოელ კომპოზიტორთა ოპერებიდან: ჯუზეპე ვერდის „აიდა“, „დონ კარლოსი“, „ოტელო“, „რიგოლეტო“; ჯაკომო პუჩინის „ტოსკა“, „ბოჰემა“, „მადამ ბატერფლაი“; შარლ გუნოს „ფაუსტი“, რუჯერო ლეონკავალოს „ჯამბაზები“, პიეტრო მასკანის „სოფლის ღირსება“, გაეტანო დონიცეტის „სიყვარულის ნექტარი“; ჯოაკინო როსინის „სევილიელი დალაქი“; მოდესტ მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“; პიოტრ ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“ და „პიკის ქალი“; სერგეი პროკოფიევის „დუენია“ და „სამი ფორთოხლის სიყვარული“; ტენორის პარტიები მოცარტისა და ვერდის რეკვიემებში, ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიაში...

თემურ გუგუშვილის კამერულ-ვოკალური შემოქმედება ცალკე აღნიშვნის ღირსია, რასაც იუბილარი დიდ დროს უთმობს და ხშირად ასრულებს ქართველ კომპოზიტორთა კამერულ ვოკალურ ციკლებს.

ტენორმა სხვადასხვა დროს საგასტროლო გამოსვლებით მოიარა ამერიკის, ევროპის, ავსტრალიისა და აზიის ქვეყნების უდიდესი საოპერო თეატრები.

თემურ გუგუშვილი ორი წლის განმავლობაში თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი იყო. ამჟამად აქტიურ შემოქმედებით, საკონცერტო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა.

იგი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორია და აკადემიური სიმღერის მიმართულებას ხელმძღვანელობს. ასევე ხელმძღვანელობს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედის“ ვოკალურ განყოფილებასაც.

2018 წლის თებერვალში მადლიერმა მსმენელმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობის წინ თემურ გუგუშვილს სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. მხოლოდ მოსახსნელი საღეჭი პროთეზები იტალიური, რუსული კბილებით. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● 45-წლიანი გამოცდილებითა და შედეგების სრული გარანტიით გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას – ფოტოსურათით მოგიხსნით: ჯადოთვალი-წყევლის ზემოქმედებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებას, დეპრესიას, შებოჭილობას, ეჭვიანობას, მოზარდებში პრობლემებს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ძილში შფოთს, გაუმართლებლობას, ოჯახურ გაუგებრობას, ოჯახის შესაქმნელად გაგიხსნით ბედს, ჩაკეტილ მამაკაცობას, სექსუალური კონტაქტის შიშსა და სხვა პრობლემებს. მის.: წერეთლის გამზირი №57. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი-პარაფსიქოლოგი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

საქართველომ სომხეთს მოუგო

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა 5:0 დაამარცხა სომხეთი და ევრო 2022-ის შესარჩევ ეტაპზე ჯგუფიდან გასვლის შანსი გაიუმჯობესა.

ამ ტურამდე ორივე გუნდს 2-2 მატჩი ჰქონდათ ჩატარებული და თითო ფრით 3-4 ადგილებზე იყვნენ. კავკასიური დერბის მოგებული შანსს იტოვებდა. ავთანდილ ასათიანის გუნდი ძალიან მობილურად გამოიყურებოდა, ყველა კომპონენტში დაჩაგრა მეტოქე და ანგარიშიც ლოგიკურია. შესაძლოა, მეტიც ყოფილიყო.

უკვე მეოთხე წუთზე ელისანდრუს დუბლი ჰქონდა შესრულებული და ორივე გოლი ლამაზი გამოუვიდა. ჯერ შორიდან დასცხო ძლიერად, შემდეგ კი, კარგი კომბინაცია ინდივიდუალურად დაასრულა.

პირველ ტაიმში კიდევ სამჯერ შეგვეძლო გატანა, მაგრამ ბოლო ფაზაში ვერ ვივარგეთ.

შესვენების შემდეგ ელისანდრუმ ჰეთ თრიკი გაიფორმა, რასაც არჩილ სებისკვერაძის დუბლი მოჰყვა. ძალიან ლამაზი გამოდგა ბოლო გოლი – ჩვენებურმა საკუთარი მოედნიდან გამოზომილად დაარტყა.

10 მარტს გუნდები უკვე ერევანში შეხვდებიან ერთმანეთს.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

6 მარტი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲠᲗᲔᲛᲘᲗᲘᲩᲘᲒᲐ

ბარნლი-არსენალი	1:1
შეფილდი-საუთჰემპტონი	0:2
ასტონ ვილა-ვულვზი	0:0
ბრაიტონი-ლესტერი	1:2

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.სიტი	27	20	5	2	56-17	65
2.ლესტერი	28	16	5	7	48-32	53
3.მანჩესტერი	27	14	9	4	53-32	51
4.ჩელსი	27	13	8	6	42-25	47
5.ევერტონი	26	14	4	8	39-33	46
6.ვესტ ჰემი	26	13	6	7	40-31	45
7.ლივერპული	27	12	7	8	47-35	43
8.ტოტენჰემი	26	12	6	8	42-27	42
9.ასტონ ვილა	26	12	4	10	38-27	40
10.არსენალი	27	11	5	11	35-28	38
11.ლიდსი	26	11	2	13	43-44	35
12.ვულვზი	28	9	8	11	28-37	35
13.კრ.პალასი	27	9	7	11	29-43	34
14.საუთჰემპტონი	27	9	6	12	33-44	33
15.ბარნლი	28	7	9	12	20-36	30
16.ბრაიტონი	27	5	11	11	27-35	26
17.ნიუკასლი	26	7	5	14	27-44	26
18.ფულემი	27	4	11	12	21-33	23
19.ვესტ ბრომვიჩი	27	3	8	16	20-56	17
20.შეფილდი	28	4	2	22	16-45	14

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲚᲘ�გᲐ

უოტფორდი-ნოტინგემი	1:0
ბარნსლი-ბირმინგემი	1:0
ბრისტოლი-ქპრ	0:2
ქოვენთრი-დერბი	1:0
მილუოლი-ბლეკბერნი	0:2
ნორვიჩი-ლუთონი	3:0
პრესტონი-ბორნმუთი	1:1
რედინგი-უენსდი	3:0
სტოკი-უიკომბი	2:0
სუონსი-მიდლსბრო	2:1

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲐ

აინტრახტი-შტუტგარტი	1:1
გლადბახი-ლევერკუზენი	0:1
ჰერტა-აუგსბურგი	2:1
ფრაიბურგი-ლაიფციგი	0:3
ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი	2:1
ბაიერნი-დორტმუნდი	4:2

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ბაიერნი	24	17	4	3	71-34	55
2.ლაიფციგი	24	16	5	3	46-20	53
3.ვოლფსბურგი	24	12	9	3	38-21	45
4.აინტრახტი	24	11	10	3	47-33	43
5.ლევერკუზენი	24	11	7	6	42-26	40
6.დორტმუნდი	24	12	3	9	50-35	39
7.უნიონი	23	8	10	5	36-26	34
8.ფრაიბურგი	24	9	7	8	37-38	34
9.შტუტგარტი	24	8	9	7	45-37	33
10.გლადბახი	24	8	9	7	40-37	33
11.ჰოფენჰაიმი	24	8	6	10	39-41	30
12.ვერდერი	22	6	8	8	26-32	26
13.აუგსბურგი	24	7	5	12	24-37	26
14.ჰერტა	24	5	6	13	28-43	21
15.კიოლნი	23	5	6	12	21-41	21
16.მაინცი	24	4	6	14	23-44	18
17.არმინია	22	5	3	14	18-41	18
18.შალკე	24	1	7	16	16-61	10

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲛᲔ-2 ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲐ

ფიურტი-ბოხუმი	1:2
კარლსრუე-ზ.პაული	0:0
აუე-ჰანოვერი	1:1

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ვალიადოლიდი-ხეტაფე	2:1
ელჩე-სევილია	2:1
კადისი-ეიბარი	1:0
ოსასუნა-ბარსელონა	0:2

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ატლეტიკო	24	18	4	2	47-16	58
2.ბარსელონა	26	17	5	4	57-22	56
3.რეალი	25	16	5	4	43-20	53
4.სევილია	25	15	3	7	35-20	48
5.სოსიედადი	25	11	9	5	42-21	42
6.ბეტისი	25	12	3	10	33-38	39
7.ვილიარეალი	26	8	13	5	34-29	37
8.გრანადა	25	9	6	10	31-42	33
9.ლევანტე	25	7	11	7	35-34	32
10.სელტა	25	7	9	9	30-37	30
11.ვალენსია	26	7	9	10	32-36	30
12.ბილბაო	24	8	6	10	34-28	30
13.ოსასუნა	26	7	7	12	23-35	28
14.კადისი	26	7	7	12	22-41	28
15.ხეტაფე	26	7	6	13	21-32	27
16.ვალიადოლიდი	26	5	10	11	25-37	25
17.ელჩე	25	5	9	11	23-37	24
18.ალავესი	25	5	7	13	20-39	22
19.ეიბარი	26	4	10	12	20-29	22
20.უესკა	25	3	11	11	22-36	20

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ. ᲡᲔᲒᲣᲜᲓᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

სარაგოსა-ტენერიფე	1:0
ლას პალმასი-რაიო	1:1
ლეგანესი-კასტელონი	0:0
ალბასეტე-ლოგრონიესი	1:1

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ა

სპეცია-ბენევენტო	1:1
უდინეზე-სასუოლო	2:0
იუვენტუსი-ლაციო	3:1

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ინტერი	25	18	5	2	62-25	59
2.მილანი	25	16	5	4	48-30	53
3.იუვენტუსი	25	15	7	3	51-21	52
4.ატალანტა	25	14	7	4	60-32	49
5.რომა	25	14	5	6	50-38	47
6.ნაპოლი	24	14	2	8	52-28	44
7.ლაციო	25	13	4	8	39-35	43
8.ვერონა	25	10	8	7	34-27	38
9.სასუოლო	25	9	9	7	40-39	36
10.უდინეზე	26	8	8	10	29-34	32
11.სამპდორია	25	9	4	12	34-37	31
12.ბოლონია	25	7	7	11	32-38	28
13.ჯენოა	25	6	9	10	27-37	27
14.სპეცია	26	6	8	12	33-47	26
15.ბენევენტო	26	6	8	12	26-48	26
16.ფიორენტინა	25	6	7	12	26-38	25
17.კალიარი	25	5	6	14	27-41	21
18.ტორინო	23	3	11	9	33-41	20
19.პარმა	25	2	9	14	20-49	15
20.კროტონე	25	3	3	19	24-62	12

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ბ

ვირტუსი-ასკოლი	0:0
კოზენცა-ფროსინონე	1:2
კრემონეზე-სალერნიტანა	0:1
პესკარა-სპალი	0:1
პიზა-რეჯინა	0:0
ვენეცია-ბრეშა	0:1
მონცა-პორდენონე	2:0

ᲜᲘᲪᲔᲘᲡᲜᲔᲒᲔᲑᲘ. ᲔᲘᲔᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ფეინოორდი-ვენლო	6:0
ტვენტე-ტილბურგი	1:1
ჰერენვენი-დენ ჰააგი	3:0
ვალვაიკი-უტრეხტი	1:2

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲚᲘ�გᲐ

პორტიმონენშე-ტონდელა	3:0
ჟილ ვისენტე-პორტუ	0:2
ბოავიშტა-ფამილიკაო	3:0

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲚᲘ�გᲐ

ცსკა-ახმატი	2:0
როტორი-ხიმკი	0:0
როსტოვი-სოჭი	0:0

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ. ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲗᲐ

ტიროლი-შტურმი	1:1
ალტახი-ლინცერი	0:1
ჰარტბერგი-ადმირა	2:1

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ. ᲞᲘᲠᲛᲘᲗᲘᲩᲘᲒᲐ

აბერდინი-ჰამილტონი	0:0
მოზერველი-ლივუნგსტონი	3:1
რეინჯერსი-სტ.მირენი	3:0
როსი-კილმანროკი	3:2
სტ.ჯონსონი-ჰიბერნიანი	1:0

ᲑᲔᲚ�გᲘᲐ. Ა ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ეუპენი-ლეუვენი	3:3
ბევერენი-ბეერსხოტი	1:2
ანტვერპენი-კორტრაიკი	4:2

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ

დენიზლი-მალათია	3:2
ბეშიქთაში-გაზიანთები	2:1

ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲜᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ

ოფი-ლარისა	2:3
ატრომიტოსი-ასტერასი	1:1
იანინა-პანათინაიკოსი	1:0

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ. 1 ᲚᲘ�გᲐ

პრჟიბრჟამი-ლიბერეცი	0:2
ზლინი-ბოჰემიანსი 1905	0:0
ტეპლიცე-ოპავა	3:1
პლზენი-სიგმა	1:0

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ

იანგ ბოიზი-ვადუცი	1:1
სერვეტი-ბაზელი	2:1

ᲞᲝᲠᲝᲜᲔᲗᲘ. ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲯᲚᲐᲡᲐ

პოდბესკიუიე-ლეხია	2:2
ზაგლებიე-იაგელონია	3:0
ჩენსტოხოვა-კრაკოვია	0:0

ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ. ᲞᲘᲠᲛᲘᲗᲘᲩᲘᲒᲐ

მარიუპოლი-ვორსკლა	0:1
ოლიმპიკი-შახტარი	0:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ

ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

დილა ლიდერია, დინამომ ქართული კლასიკო მოიგო

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ-ᲗᲔᲚᲐᲕᲘ 3:2

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲓᲘᲜᲐᲛᲝ ᲐᲠᲔᲜᲐ

1:0 სიხარულიძე (18პ), 2:0 სანდოხაძე (35), 2:1 კაშია (69სკ), 3:1 გავაშელიშვილი (74), 3:2 შერგელაშვილი (77)

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ: მამარდაშვილი, სანდოხაძე, გურეშიძე, კაშია, უბილავა, შონია, დარცმელია (სამურკასოვი 60), კახაბრიშვილი (გავაშელიშვილი 63), თ.კირკიტაძე (მჭედლიშვილი 60), იმრანი (იაკობიძე 78), სიხარულიძე (ჭიაბრიშვილი 78)

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ: ჩოჩიშვილი, ც.კაპანაძე (მალდინი 70), ბერიაშვილი, მ.ბაშელეიშვილი, მ.ჯიქია (სოსიაშვილი 46), ინჯგია (რუხაძე 46), ფაცაცია, შეყილაძე, ძოწენიძე (ხაბულიანი 81), არდაზიშვილი, შერგელაშვილი

ლოკომოტივმა მატჩი დინამო არენაზე გამართა. კლუბის გადაწყვეტილებით, მიხეილ მესხის სტადიონის მინდვრის საფარის მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩემპიონატის პირველ წრეში, საშინაო თამაშებს, სწორედ, ქვეყნის მთავარ არენაზე გამართავს.

გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდში დებიუტი ჰქონდა საქართველოს ნაკრების მცველს გურამ კაშიას, რომელმაც ეროვნულ ჩემპიონატთან 10-წლიანი განშორების შემდეგ საფეხბურთო კარიერის გაგრძელება დედაქალაქურ კლუბში გადაწყვიტა. თუმცა, კარგი დებიუტი ვერ გამოუვიდა – საკუთარ კარში გაიტანა. უფრო სწორად, ასე ჩაუთვალეს, თორემ კარში მიმავალი ბურთი უბრალოდ მოხვდა.

ახალი „საშინაო“ სტადიონი კარგად დააჭანიკა ლოკომოტივმა და პირველი სამი ქულა მოიპოვა.

შეხვედრაში პირველი გოლი ირაკლი სიხარულიძემ მატჩის მე-19 წუთზე პენალტით გახსნა, ორამდე ანგარიში ნიკა სანდოხაძემ გაზარდა და შესვენებაზე მასპინძლები 2-ბურთიანი უპირატესობით გავიდნენ.

ინტრიგა დაპირისპირებაში 69-ე წუთზე დაბრუნდა, როცა დავით უბილავამ საკუთარი კარისკენ ჩაჭრა ბურთი და, როგორც გითხარით, ბადეში მოხვედრამდე გურამ კაშიასაც შეეხო.

74-ე წუთზე მამია გავაშელიშვილმა თელავს მესამე გოლი გაუტანა და 3 ქულის საკითხი თითქოს გადაწყვიტა, მაგრამ მალევე რევაზ გოცირიძის გუნდმა ლაშა შერგელაშვილის ჩინებული საჯარიმო დარტყმით სხვაობა მინიმუმამდე კვლავ შეამცირა. სტუმრებს გათანაბრების კარგი შანსიც ჰქონდათ, მაგრამ საბოლოო შედეგის შეცვლა ვეღარ შეძლეს.

ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ-ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝ 0:0

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

სამგურალი: ქვილითაია, ასათიანი, პატარკაციშვილი, ტურე (ჩიხლაძე 27), ს.კუხიანიძე (დ.კირკიტაძე 81), ფონიავა (თ.კიკაბიძე 81), კალანდარიშვილი (გაზდელიანი 66), ქურდაძე, ლექვთაძე (ბუხაიძე 66), ბურჯანაძე, მჭედლიშვილი

საბურთალო: მეგრელიშვილი, მალი, ლაცაბიძე, ჯგერენაია, ი.ტაბატაძე (შულაია 74), ძებნიაური, გულიაშვილი (გ.გოჩოლეიშვილი 60), კაკუბავა, ტერა (ამინუ 80), თ.ტაბატაძე (შ.ნონიკაშვილი 80), მანდრიჩენკო (ლ.ნონიკაშვილი 60)

საკუთარ მოედანზე ვერ უმასპინძლა თბილისის საბურთალოს წყალტუბოს სამგურალმა და ზესტაფონში დაუხვდა.

18 წლის შემდეგ ელიტაში დაბრუნებულმა იმერლებმა კიდევ ერთ ფავორიტს აართვეს ქულები. უჩა სოსიაშვილის გუნდი ძალიან სიმპათიურად გამოიყურება და კიდევ შეუძლია სიურპრიზების შემოთავაზება.

საბურთალოს შეეძლო ლიდერად გასულიყო, მაგრამ დაცვაში კარგად მოთამაშე მეტოქეს ვერაფერი მოუხერხა.

ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ-ᲓᲘᲜᲐᲛᲝ (ᲗᲑ) 0:2

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. ᲠᲐᲛᲐᲖ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ

0:1 ახვლედიანი (48), 0:2 ბენიო (70)

ტორპედო: ჰამზიჩი, ტაბატაძე (ინკუმი 73), მირცხულავა, ქაფიანიძე (შარვაშიძე 73), ნადარაია, ტუიჩიბაევი, მამასახლისი (ძარია 83), ბუკასი, სალაკუ (შოვნაძე 18), რეკიში, ზიდანი

დინამო: კვასხვაძე, სპორკსლედე (იაშვილი 90), მონხილი, ბენიო, რადინი, პაპავა, მექვაბიშვილი (კუცია 85), გაგნიძე, გაბედავა (კეიტა 90), ახვლედიანი (ქარდავა 72), მარუშიჩი (კასტრო 85)

გაძევება: ჰამზიჩი (15)

სათადარიგოთა სკამზე გიორგი ნემსაძის არყოფნის მიუხედავად, თბილისის დინამომ სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა – დედაქალაქელებმა უძველეს ქართულ დაპირისპირებაში ქუთაისის ტორპედო სტუმრად 2:0 დაამარცხეს.

48-8 წუთზე, კრისტალბეთ ეროვნულ ლიგაში დინამოს მაისურით პირველი გოლი გაიტანა თორნიკე ახვლედიანმა და საკუთარი გუნდი დააწინაურა. 70-ე წუთზე კი, ქუთაისელთა კარი დინამოს ტოგოელმა ლეგიონერმა საიმონ ბენიომ აიღო.

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ (ᲒᲗ)-ᲨᲣᲥᲣᲠᲐ 1:1

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 ჯიღაური (43), 1:1 ჭანტურია (83)

დინამო: კუპატაძე, ჩალაძე, აზაცკი, კობახიძე, ჩაბრაძე, ტეიდი (ზარია 90), ჯიღაური, მამუჩაშვილი (აზაროვი 85), ალთუნაშვილი, გროცურეკი (მანჯგალაძე 66), ნიქაბაძე (ფანცულაია 66)

შუქურა: თებიძე, ჭანტურია, კომახიძე, გაფრინდაშვილი (ფარტენაძე 51), რეხვიაშვილი, ხმალაძე (ჩელებაძე 62), ინგოროყვა (კაბრალი (62), სარდალიშვილი, კაკაშვილი, ჯერალდო, მუსელიანი (გურეშიძე 89)

გორის „თენგიზ ბურჯანაძის“ სახელობის სტადიონზე გამართული აჭარული დერბი ფრედ – 1:1 დასრულდა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრაში ორივე გოლი თავური დარტყმის შედეგად გავიდა.

პირველი ტაიმის 42-ე წუთზე, ჯაბა ჯიღაურმა ავსტრიელი ლუკას გროცურეკის პასით ისარგებლა და თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. მატჩის მიწურულს კი, 82-ე წუთზე ნიკა ჭანტურიას ჯერ ერთი და მერე მეორე თავური დარტყმაც ლაზარე კუპატაძემ მოიგერია, თუმცა ბურთმა კარის ხაზი მეორე შემთხვევაში გადაკვეთა და შუქურამ ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ-ᲓᲘᲚᲐ 0:2

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

0:1 ღუდუშაური (10), 0:2 ბუღრიძე (42)

სამტრედია: კულუა, მესიაჩენკო, ჟუნიორი, ახალაძე (იბრაჰიმზადე 45), იოსელიანი (მასკარენია 77), ვარიეტი (კვირკვია 46), მილუტინოვიჩი, კერძევაძე (რობაქიძე 46), დ.ჯიქია, სამბუ, გიორგაძე

დილა: გუგეშაშვილი, ჩიტეიშვილი, ხურცილავა, ღუდუშაური (კამარა 68), მაისაშვილი, თ.კაპანაძე (მადინდა 80), ბუღრიძე (ა.სანტოსი 80), ნონდი, გაგნიძე, ბიძინაშვილი (მოსიაშვილი 65), სილვა

„ეროსი მანჯგალაძის“ სახელობის სტადიონზე, სამტრედიამ გორის დილას უმასპინძლა და შეხვედრა 0:2 დათმო.

ანგარიში მე-10 წუთზე პაატა ღუდუშაურმა მოჭრილი დარტყმით გახსნა. 42-ე წუთზე, ირაკლი ბუღრიძის მიერ გატანილი მეორე გოლიც ღუდუშაურის გარღვევას მოჰყვა.

დილამ პირველ 2 ტურში ორივე მატჩი მოიგო და 6 ქულით გორელები ცხრილში პირველ ადგილს იკავებენ.

ᲯᲘᲝᲡᲕᲝᲰᲘᲦᲘ Ბ



შვეულად: 1. საზეინკლო იარაღი; 2. ღუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 3. ხვიარა მცენარეებით გაფორმებული საჩრდილობელი პარკებში; 4. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 5. პერუს დედაქალაქი; 6. ყნოსვის უნარის დაქვეითება, დაკარგვა; 9. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 10. სამედიატორო სასამართლო; 11. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი და მკურნალობის მეთოდის დამდგენი მედიცინის დარგი; 14. გერმანული კოსმეტიკური ფირმა; 16. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 18. ქიმიური ელემენტი, მსუბუქი მეტალი; 20. „ბარსელონას“ დამფუძნებელი; 23. ჯიხვების ჯოგი; 24. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 25. კუთხე საქართველოში; 26. აეროპორტი თელავივში.

თარაზულად: 7. გადამფრენი ფრინველების შემსწავლელი ბიოლოგიის ნანილი; 8. ბუნებრივი აირის უდიდესი საბადო ირანში; 12. შხამიანი გველი; 13. ფინეთის პარლამენტი; 15. საინფორმაციო საშუალება; 17. ესპანელი მხატვარი; 19. ხურდა ფული აშშ-ში; 21. აეროპორტი პარიზში; 22. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 27. ძველი იშვიათი ნივთების შემფასებელი მოვაჭრე; 28. ძველებური ქართული ქალაქური ცეკვა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. ქილიკი; 2. ხერესი; 3. მოცვი; 5. ხოზე; 6. რუსული; 8. ანგინა; 11. თეოდოლიტი; 13. მეეზოვე; 14. აზნაური; 15. იურისტი; 19. ბილი.

თარაზულად: 1. ქვანახშირი; 4. სამხარი; 7. ლინდერი; 9. ვაჩნაძე; 10. ათოსი; 12. სხიპჰოლი; 16. კატმანდუ; 17. სეგოვია; 18. დარბაზობა; 20. ტელფერი; 21. კერი; 22. ყინწვისი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. შაირი; 2. ყველი; 3. ანორაკი; 4. დოღი; 5. კედი; 6. ატაკამა; 9. საგინაშვილი; 10. აშპაშხანა; 11. შუშაბანდი; 14. ლექსი; 16. ჩეიზი; 18. ნიამორი; 20. მარტენი; 23. ფიდე; 24. ფორდი; 25. ფრეზა; 26. ბოტი.

თარაზულად: 7. ონტოლოგია; 8. რეზერვატი; 12. მარში; 13. მუყაო; 15. ელისო; 17. ქონდაქარი; 19. ხავსი; 21. საუნა; 22. ოდერი; 27. ტრუბადური; 28. რესტორანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3202

ევრო — 3.9640

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.5835

100 რუსული რუბლი — 4.5518

ამინდის პროგნოზი 8 მარტისათვის

9 მარტიდან

მსოფლიო საბავშვო მოთხრობის ანთოლოგია

ამ წიგნში ნებისმიერი გემოვნების მკითხველი მიაგნებს მისთვის საინტერესო საკითხავს, შეხვდება საყვარელ უცხოელ ავტორებს, რომლებიც გამოგზაურებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში, შეხვდებით თქვენთვის საყვარელ პერსონაჟებს და გაეცნობით მათ საინტერესო თავგადასავლებს. გადაშლისთანავე დარწმუნდებით, რომ მისი ადგილი სწორედ თქვენს ბიბლიოთეკაშია.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ახალგაზრდა მამაკაცი ნიანგის თავდასხმას გადაურჩა

ავსტრალიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე მდინარე დეილიში მამაკაცს 20 თვითმხილველის თვალწინ ნიანგი თავს დაესხა.

სამშაბათს, 2 მარტს, ნიანგმა მამაკაცს ფეხზე უკბინა. ამ დროს 20 წლამდე ასაკის მამაკაცი წელამდე წყალში იდგა. თავდასხმა ორი ათეული ადამიანის თვალწინ მოხდა.

თვითმხილველ კენ ბაუმანის თქმით, მამაკაცს, ნიანგი უფრო დიდი რომ ყოფილიყო, შესაძლოა, ბევრად მძიმე დაზიანებები მიეღო.

– მან ვერ დაუზიანა მთავარი არტერიები და სწორედ ამიტომ გადარჩა მამაკაცი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ათ წუთში დაიღუპებოდა, – აღნიშნა თვითმხილველმა.

დაშავებული საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი და ის იქ შესაბამის მკურნალობის კურსს გადის.

ქალმა საქსოვი მოწყობილობა იყიდა და მასში კოკაინი აღმოაჩინა

ამერიკის ვაშინგტონის შტატის ქალაქ სიეტლის მცხოვრებმა ქალმა საქველმოქმედო მაღაზიაში საქსოვი მოწყობილობა შეიძინა და მასში კილოგრამი კოკაინი აღმოაჩინა.

ქალმა ცხოველებისთვის ქუდების მოსაქსოვად საქსოვი მოწყობილობა შეიძინა, მასში კი იპოვა შეკვრა, რომელსაც ყვითელი რეზინი ჰქონდა გადაკრული. შეკვრაზე, რომელსაც უცნაური სუნი ასდიოდა, გაკეთებული იყო წარწერა: „100 პროცენტი“.

ქალმა ამის შესახებ პოლიციას აცნობა. მოგვიანებით სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ შეკვრაში ერთ კილოგრამამდე კოკაინი იყო შეფუთული. პოლიციაში არ დაუზუსტებიათ, თუ როგორ მოხვდა ნარკოტიკული ნივთიერება საქველმოქმედო მაღაზიის დახლზე.

ანეკდოტი

ქალი მატარებლის გამცილებელს ეუბნება:

– ეს მატარებელი ისე მიღოღავს, რომ ალბათ აქვე მომიწევს მშობიარობა!

– თქვენ მდგომარეობაში მყოფი მატარებელში არ უნდა ჩამჯდარიყავით.

– ჰო, მაგრამ, როდესაც ამ მატარებელში ჩავჯექი, ჯერ ფეხმძიმედ არ ვიყავი!

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– ლამაზო, ხომ არ გავიქროლოთ ქარივით?

– არ შემიძლია, ოსტეოქონდროზი მაქვს.

– მაშინ მდინარეში ვიბანაოთ?!

– არა... რევმატიზმი მაწუხებს...

– ორთქლის აბანოზე რას იტყვი?

– არ შემიძლია, გული მჩხვლეტს.

– კი მაგრამ, თუ ასეთი ავადმყოფი იყავი, თვალებს რას მიხამხამებდი.

– ნერვული დაავადება მაქვს...

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– ეს რა ჩვევა აქვს შენს შვილს, კარის ფეხის დარტყმით გაღება?

– სპეცრაზმში მსახურობს და ჩვევად ექცა. ეგ რაა, ადრე სახლში შემოვიდოდა თუ არა, ყველას ხელკეტს გვირტყამდა. მადლობა ღმერთს, გადაეჩვია...

●●●

სამსახურში ბუღალტერს იღებენ და ხელმძღვანელი ეკითხება:

– თქვენი ადრინდელი უფროსი სად არის?

– ზის.

– დიდი ხნით?

– სანამ არ შეცვლით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სანდრო სულაქველიძე ბერას წინააღმდეგ

მუსიკოსმა სანდრო სულაქველიძემ მომღერალ ბერას წინააღმდეგ ინტერნეტით საჯარო განცხადება გაავრცელა და იგი ძალადობაში ამხილა:

– ბერას და ღარიბას ჩანაწერების ვისაც არ გჯერათ, მინდა გითხრათ, რომ გინებისთვის კი არა, ჯიდიესის ერთ-ერთ გადაცემაზე მისთვის არასასურველი სტატუსის დაწერისთვის დამაყენა 2013-ში რეპერი ჯერონიმო და 4 მენტი საბლატაოდ.

ეტყობა, ვინმე ანზორი უეჭველი უნდა იყოს სადამსჯელო ოპერაციაში ჩართული.

მე ჯერ ტელეფონით დამემუქრნენ, მერე დამადგნენ და ბოლოს იმით დამთავრდა, რომ სტატუსის წაშლა მთხოვეს, ეტყობა, მანდაც რამე არ მოეწონა, ისე რო არ გამოვიდა, როგორც უნდოდათ და მეორე დღეს კიდე დაარეკინა ვიღაცას, შენ ბოდიში არ უნდა მოგეხადა საჯაროდო? მე კი არ მომიხდია ბოდიში და არც „მიკაჩავება“ გამოუვიდათ, მაგრამ ეგ ჯერ კიდე კოჰაბიტაციის 2013 იყო. მას მერე გაიზარდა პატარა ბერა „ჯოფრიც“ და ახლა უკვე ანზორ „კლიგანი“-ს მეშვეობით დასდევს მისთვის არასასურველი სტატუსების დამწერებს.

რაც მოვისმინე, ამ ავადმყოფი ბავშვის დაგეშილი ტიპების მხრიდან მოქმედებების ზუსტად იგივე სქემა იყო, რითაც მაშინ ჩემთან ეცადნენ რაღაცის მიღწევას. ამიტომ, ვისაც არ გჯერათ ან არ გინდათ დაიჯეროთ, მინდა იმედები გაგიცრუოთ, რაც მოისმინეთ ეგ, სავარაუდოდ, სრული სურათიც არაა იმის თუ რაებსაც ავალებს და როგორ ბოლომდეც მიყვება ხოლმე აღსრულებას.

ნატა გულიაშვილი: „ძალიან გაბრაზებული ვარ!“



მსახიობი და წამყვანი ნატა გულიაშვილი რესტორნებსა და ბარებში ცოცხალი მუსიკის აკრძალვას აპროტესტებს:

– ძალიან გაბრაზებული ვარ, ძალიან. როცა აცხადებ, რომ ცოცხალი მუსიკა და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება არის აკრძალული 8 მარტამდე ორი დღით ადრე, ეს არის მინიმუმ, შენი ხალხის უპატივცემულობა და უპასუხისმგებლობა...

რატომ არ გვითხარით რამდენიმე დღით ადრე? 2 დღე რომ არის დარჩენილი 8 მარტამდე, მაგ დროს რატომ გვეუბნებით? რა ჰქვია ახლა ამ საქციელს? რა ჰქვია? რა ვქნათ ახლა ჩვენ? რა ვუთხრათ ახლა ჩვენს სტუმრებს, ვინც ჩვენს საღამოზე მოდიოდნენ?

ეკა კვალიაშვილი: „არავის პლაგიატს არ ვაპატიებ!“

მომღერალი ეკა კვალიაშვილი კატეგორიულად აფრთხილებს ყველას და განმარტავს, რომ პლაგიატს არავის აპატიებს:

– ერთი დაიმახსოვროს ყველამ! ფეხებზე მკიდია, რასაც არ უნდა წარმოადგენდეს! არავის პლაგიატს არ ვაპატიებ! ჩემს სიმღერებს, ჩემს იდეებს, ჩემს პროექტებს ჰყავს ავტორი – ეკა კვალიაშვილი! და ეს მინდა ყველა ასეთმა დაიმახსოვროს!

შევეჭიდები და შეუძლებელს შევძლებ! ხოდა, ცოტა ფრთხილად! მე ამ თემასთან დაკავშირებით უკვე მოძრაობაში ვარ! და კიდევ ერთი, ნუ მაიძულებთ ასეთნო, გავიხსენო ვინ ვარ მე და რაც მიგიქარავთ ჩემ წინაშე! ყველას მოგკითხავთ! ვირთხებო!

მაია დარსმელიძე: „საშინლად გაბანძდა და გაპარტახდა ქვეყანა“

ასე მიაჩნია მომღერალ მაია დარსმელიძეს, მაგრამ ამის მიუხედავად, არსად წასვლას არ აპირებს:

– კი, საშინლად გაბანძდა და გაპარტახდა ქვეყანა. არა, არსადაც არ წავალ. არც იოცნებონ. აქვს ჯერ კიდევ ამ ქვეყანას მაგარი ქვეყნობის პერსპექტივა და ჩემნაირებიც ბევრია აქ... საბედნიეროდ.

მე და ჩემნაირები რომ წავიდეთ, ვის ვუტოვებთ ქვეყანას? მათ, ვინც რუსეთის გუბერნიად აქცევს? თუ მათ, ვინც კაი ქვეყნის ილუზიას ქმნის ვირტუალურად? თუ მათ გონებაჩლუნგ ნაშობას – იმ გოპ-სტოპა მურკებს, რომლებიც ოცდამეერთე საუკუნეშიც უკუნითს ასხივებენ – ისევ „ჩამშვებს“ ეძებენ და საკუთარი ვერაფრით ვერგანვითარებული ლოგიკით სახელმწიფოს არსებობა კაიბიჭურ გაგებამდე დაყავთ?

ვის? ვინც მავნებლურ-შეგნებულად, თუ გამორეცხილი ტვინით გაჰკივის, „ქოცები“ რომ წავიდნენ, ისევ „ნაცები“ მოვლენ? ვინც შეგნებულად, თუ სიდებილით არ იმჩნევს, რომ ქვეყნის მმართველად ერთი რომელიმე კონკრეტული ძალა და პარტია კი არა – მრავალპარტიული მმართველობა მინდა?!

ამათ დავუთმო და ქვეყნის რუსეთის ზასრანსკად ქცევას ვუყურო შორიდან? იოცნებეთ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დიდი თეთრი ზვიგენის სკატზე ნადირობა ვიდეოზე გადაიღეს

დიდმა თეთრმა ზვიგენმა, რომელიც ასევე კაციჭამია ზვიგენის სახელითაცაა ცნობილი, ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის ქალაქ სიდნეის მახლობლად მდებარე პოპულარული პლაჟიდან ათ მეტრში ნადირობა გამართა სკატზე.

კვირა დილით ლუის ლაფლინმა შენიშნა დიდი თეთრი ზვიგენი, რომელიც სკატზე ნადირობდა. მან მტაცებელი თევზი ვიდეოზე დრონის გამოყენებით გადაიღო. ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ დასდევს თავის მსხვერპლს ზვიგენი ნაპირიდან სულ რაღაც ათ მეტრში.

რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ მტაცებელმა თევზმა მაინც მოახერხა მსხვერპლის დაჭერა და წყლის სიღრმეში გაუჩინარდა. ამ დროს პლაჟზე უამრავი სერფერი იმყოფებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

8 მარტისათვის

ვერძი – წინააღმდეგობრივი დღეა. დილით თქვენი გეგმების რეალიზებას ადვილად შეძლებთ. საღამოს არასასურველი ტენდენციები მძლავრობს. **კურო** – დიდი ყურადღება მიაქციეთ ჯანსაღ კვებას. იყავით წინდახედული და დაპირება შეასრულეთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობის მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის. დღეს ყოველგვარი კომერციული გარიგება გამორიცხეთ. **კირჩხიბი** – წვრილმანი საოჯახო პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. ბავშვებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **ლომი** – წარმატება მხოლოდ თქვენს სიმშვიდესა და თავშეკავებაზეა დამოკიდებული. იყავით მამაცი. **ქალწული** – საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა იდეალურად გამოგივათ. ერიდეთ კამათს ახლობელთან. **სასწორი** – წარმატება გელით შემოქმედებით სფეროში მუშაობისას. საღამო მყუდრო გარემოში გაატარეთ. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ სტუმრების გამასპინძლება. **მშვილდოსანი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. დაპირებების გაცემისგან თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – გლობალურ მიზნებს ნუ დაისახავთ. დღეს მხოლოდ წვრილმანი საქმეებით დაკავდით. მოვლენები მოულოდნელად იცვლება. **მერწყული** – ფინანსებს გაუფრთხილდით. დიდია გაუთვალისწინებელი ხარჯების ალბათობა. **თევზები** – ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად მიუდექით. ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. გიგანტური ტალღები ოკეანეში; 2. ბოშათა მომთაბარე ბანაკი; 3. ღეო დელიბის ოპერა; 5. მინერალური წყლების ძველი ქართული სახელწოდება; 6. ფულის ერთეული ავსტრალიაში; 8. მგალობელი ჩიტი; 11. სასტუმრო „თბილისი-მარიოტის“ ძველი სახელწოდება; 13. ყურძნის შაქარი; 14. ქართველი მევიოლინე ქალი; 15. ხორვატიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 19. ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების მმართველთა ტიტული.

თარაზულად: 1. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 4. უნგრული არმიის ძველი სახელწოდება; 7. ბუნებრივი ნაკრძალი კენიაში; 9. ქსოვილი, რომლის ერთი პირი გაჟღენთილია წყალგაუმტარი ნივთიერებით; 10. ზღვის დიდი კიბორჩხალა; 12. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი მამაკაცი; 16. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 17. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 18. ვიქტორ ჰიუგოს რომან „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარის“ პერსონაჟი; 20. ოქროსფერში ამოვლებული ძაფი; 21. აბრეშუმის ჭია; 22. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა